№1900

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

რედაქტორობით
პეტრე უმიკაშვილისა

(დამატებად მისდევს ორასი [illegible])

ფასი 1 მან. 25 კ.

ტფილისი
ლ. ნ. [illegible] სტამბა
1886

A 1900

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

19332

რედაქტორობით

პეტრე უმიკაშვილისა

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

(დაიბეჭდა მხოლოდ ორასი ეგზემპლარი)

ტფილისი
ე. ხ. კრამარენკოს სტამბა
1885

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Іюля 1886 года.

სტამბა: დუბელირისა (გ. წერეთლისა და ამხ.) 1—32, ხელაძისა 65—128, მელიქიშვილისა 33—64, 129—160 და კრამარენ-კოსი 161—204, ა—თ, I—VII.

Типографія Л. Г. Крамаренко, помѣщается на Мухранской улицѣ, въ домѣ Демурова № 13.

[illegible]

1. [illegible] ([illegible]
[illegible]
[illegible])

2. [illegible] ([illegible]
([illegible] 1895-ൽ
1, 2, 10 - [illegible], [illegible] 142.)

დასტურლამალის გამოცემაზე.

ეს წიგნი, სახელად „დასტულამალი“ ანუ უფრო ნამდვილად, „დასტურლამალი“ დღევანდლამდე დაბეჭდილი არ არის; მხოლოდ რამდენიმე თავი ჟურნალ „მნათობში“ 1871 და 1872 წლებში დაიბეჭდა ჩვენის დედნიდამ. იგი ძალიან მცირედაც არის ცნობილი: თვით ბროსსეც თვის ქართლის ცხოვრების შესავალში (Hist. de la Géorgie. Introduction et Tables des matièrs. 1858 p. CIII—CIX) დასტურლამალიდამ მოჰყავს მხოლოდ შემოკლებით შინაარსი რამდენისამე თავისა. მასალას კი ისეთს შეიცავს, რომ ძვირფასს განძს შეადგენს საქართველოს შინაგანის ცხოვრების ისტორიის გამოკვლევისათვის. იგი ეკუთვნის მეფე ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც ყოველი თვისი შრომა მოახმარა სამეფოს შინაგან კეთილ-განწყობილების დამყარებას და ერის სულიერის ცხოვრების განახლებასა. მისი „სამართლის წიგნი“ მოხელეთა და ერის წინ სამძღვანლოდ იყო დადებული უფლების საზღვრად და სიმართლის დასადგენად.

დასტურლამალიც ამავე აზრს ემსახურებოდა მით, რომ განუწესა მოხელეთ, „რათა წესითა და შემსგავსებათა იქცეოდნენ“ თავის თანამდებობის აღსრულების დროსა. ამისათვის ეს წიგნი შეიცავს წესს, რიგს, რა გვარად უნდა ემსახურნათ მოხელეთა მეფის კარისთვის, რა სახელმწიფო შემოსავლიდამ რა უნდა აეღოთ და როგორი ურთიერთობა ჰქონოდათ ერთმანერთში; რა სახელმწიფო სამსახური ედვათ მცხოვრებელთ ფულად, ანუ მოსავლით, ანუ მუ-

შაობით. დაწვრილებითი განსაზღვრა ყოვლისა ამის ამცნებდა მოხელეთა და ერსა თავ-თავის ვალდებულების ასრულებასა. ამ გვარად დასტურლამალი, როგორც თვით სამართლის წიგნი, არის ძვირფასი მასალა წარსულის საუკუნების ისტორიის გამოკვლევისათვის.

ამ საზოგადო მნიშვნელობასთან, დასტურლამალს სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობაცა აქვს მეცნიერებისათვის. მასში მჭიდროდ მოთავსებულია მრავალი საგანი შესახებ: მოხელეთა თანამდებობისა, უფლებისა და შემლებისა; ქალაქთა, სოფელთა, სასარდლოთა და თემობათა გამოსაღების (ხარჯის) შემლებისა თვითოეულად და საერთოდ; მცხოვრებთა რიცხვსა; თვით გამიჯვნის და საზღვრების დადებასა, და მრავალს დიდს და წვრილს საგნებსა, რაც კი შეერთებული ყოფილა ერთის მხრით სამართალსა და განმგეობასთან, და მეორე მხრით ხარჯის გამოღებასთან. ეს ყოველი თუმცა, სამწუხაროდ, შეეხება მარტო ძველს ქართლის სამეფოს და არა სხვა სამთავროებსა, მაგალითად, კახეთს ანუ იმერეთს და სხვათა,—მაგრამ მაინც ძვირფასი მასალაა და საფუძველია მათ სამეცნიერო გამოკვლევის შესახებაც.

დასტურლამალი ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ვახტანგი გიორგი მეფის მოადგილედ (ჯანიშინად) იყო ქართლში, ესე იგი 1702—1711 წ. საკუთრად ეს წიგნი უნდა შედგენილი იყოს 1704 წელს შემდეგ, რადგანაც მასში შემოტანილია იმ წელს დაწერილი წყალობა ლევანისა (შაჰყული-ხანისა), მის დროებით ქართლში ყოფნის დროსა (გვ. 16 და 56). წიგნს კარგა ნათლად ეტყობა, რომ შედგენილია ვახტანგისაგან სხვა და სხვა გაფანტულ წერილებისაგან. თვით იხსენიებს, ადრე როსტომ მეფისა, ან გიორგი მეფის წიგნი ჰქონდათო (გვ. 43 ყარაიის კონი, 10 ყაიყულის გამოსაღები, 109 სადედოფლო დასტურლამალი და სხვანი), ეტყობა ძველად გაფანტული წიგნები მოხელეთა ანუ სოფელთა, მეფეთაგან მიცემული, ზოგი სრულად შეუცვლელად, ზოგი შეცვლით შემოუტანია ვახტანგს ამ წიგნში; ადგილ-ადგილ მოხსენებულიც არის: „წიგნი აქვთო, ანუ წიგნს მივცემთო."

დასტურლამალში შეკრებილის მასალის დაფასება ან განხილვა არ გვიკისრია. განხილვა ამისი მომავალ სამეცნიერო გამოკვლევას უნდა მივანდოთ. ჩვენი სურვილი მხოლოდ ამ წიგნის დაბეჭდვა იყო სამეცნიერო შემუშავებისათვის. აქ მხოლოდ საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა ვთქვათ გამოცემის შესახებ.

დაბეჭდვის დროს გვქონდა ორი ხელნაწერი დედანი. პირველი გადაწერილია 1821 წ. ალექსისძის იოველისაგან, მისგან უყიდნია მეფის ძეს ბაგრატს. მეორე დედანი გვარდმოგვცა პატივცემულმა დიმიტრი ზაქარიას ძემ ბაქრაძემ, ეკუთვნის თავად რევაზ შალვას ძეს ერისთავს და, როგორც წარწერიდამა სჩანს, ყოფილა სულხან მდივანისა (თუმანიშვილისა). დაბეჭდვის შემდეგ მოვიპოვეთ მესამე დედანი თავად ალექსანდრე ივანეს ძის მელიქისშვილისაგან. ამ უკანასკნელის დედნისა სამეფო დასტურლამალი ძველი ნაწერია და სადედოფლო შემდეგ, 1773 წელს, დამატებულია იესე მდივნის სომხით მელიქიშვილისაგან, რომელიც წარწერაში ამბობს: „გადავწერე, არ დაიკარგოსო; ერთის მეტი არ იყო საქართველოშიო.“

ამ სამს დედანში აი რა განსხვავებაა: პირველი დედანი დანარჩენ ორ დედანზე სრულია, ცოტაოდე ადგილებს გარდა. თავები ერთმანერთს მისდევს სათაურების ანბანის რიგით, უეჭველად მოხელეთა ხმარებისათვის ადვილად სამიებლად. იგი ეთანხმება მელიქიშვილის დედანსა. გადამწერს ადგილ-ადგილ ცოტაოდენი ცვლილება მოუხდენია, მაგალითად, „აჯილდის შიგამდეგის (რიგი)“ ნაცვლად — „აჯილდის შიგამდეგისათვის,“ ანუ „ოთათაშვილის,“ ნაცვლად — „ოთოთას შვილი“ და სხვა. (ეს შეცვლა ალექსიძეთ მესხიშვილებს, მრავალ ქართულ წიგნების გადამწერთ, ადათად ჰქონდათ).

მეორე დედანი სულხან მდივნისა უფრო ძველი ნაწერია და შესანიშნავია თავების დალაგებით საგანთა შინაარსის კვალობაზე. ეს წყობა თავებისა გვიჩვენებს, რომ ხელნაწერი უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციასა; დანარჩენი ზემოხსენებული დედნები კი შემდეგ ხანებში არის გადაკეთებული მოხელეთა სახმარებლად. ეს განსაკუთრებული ხასიათი ამ დედნისა გვინდოდა დაგვეცვა. ამისათვის მისს შინაარსის რიგით ჩამოთვლილს სათაურებს

საძიებელი სია გაუკეთეთ და ბოლოში დაურთეთ (გვ. 195—202). მსურველს ღონისძიება ექმნება წიგნი ამ საძიებლის შემწეობით წაიკითხოს პირველისავე გაცნობისათვის. ხოლო ამ ხელნაწერზე სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ როგორც გადამწერისაგან არის მოხსენებული, მის დედანს ბევრგან ჰკლებია, ფურცლები დახეული ჰქონია და შემდეგ თითო-ოროლა ადგილს ჩაუმატებიათ. ნაკლებობა და არევათავების მეტად შესამჩნევად სჩანს სათაურიდამ: „მერიქიფეთ ხუცისა, ქილიფთრისა და მერიქიფეებისა“ (გვ. 200). სათაურებს ანბანით აღრიცხვა არა აქვს. ეს ნაკლულევანებანი რომ არ ჰქონოდა ამ დედანსა, უცილობლად მისს დაბეჭდვას ვამჯობინებდით.

ყოველთა ზემოხსენებულთა მიზეზთა გამო დასტურლამალის ტექსტი პირველის დედნიდამ დავბეჭდეთ. ხოლო სისრულისათვის დაურთეთ დამატებულებაში განსხვავებანი (ვარიანტები) ცალცალკე სულხან მდივნის და მელიქიშვილების დედნებისა. ამ დამატებულებაში ჩვენა ვცდილობდით აღგვენიშნა ყოველი განსხვავება, მეტ-ნაკლებობა, ანუ ცვლილება, რითაც კი განირჩეოდა ორივე დედანი პირველისაგან. ზოგი განსხვავება სულხ. მდ. დედნისა თვით ტექსტთან სხოლიოებშია მოჰყვება. საჭიროა მოვიხსენოთ სიების შესახებ, რომ თვითოეულის სიის მოხელეთა რიცხვი ყველგან აღვნიშნეთ. სიების სახელების მოხსენება მელიქიშვილების დედნისა არ მოვიყვანეთ, რადგანაც სახელები ერთის სიისა მეორეს სიისაში მოიპოვება და მისი აღნიშვნა ხელმეორედ მთელის სიების დაბეჭდვას მოითხოვდა. მაგრამ უყურადღებოდ არ დავტოვეთ სულხან მდივნის დედნის სიების განსხვავება. ეს საჭირო იყო პირველად იმიტომ, რომ უძველესის დედნის სით სახელები და მათი განაწილება დაგვეცვა და, მეორედ, ამით გაგვეადვილებინა მომავალ გამომკვლევლისათვის შრომა, როდესაც მათ მოუნდებათ ძველს გუჯრებში, სიგელებში და საგვარეულო წიგნებში მოხსენებულ სახელების შეთანხმება დასტურლამალის სიებთან. ამ წიგნის მასალის მომავალს შემუშავებას უეჭველად ეს დასჭირდება.

სიტყვების ახსნა, ლექსიკონი უეჭველად საჭირო იყო დაგვერთო. სურვილი გვქონდა მომატებულის სისრულით და განსაზ-

ღვრით აგვესრულებინა მისი შედგენა, მაგრამ დაბრკოლება ბევრი დაგვხვდა; უპირველესად ის, რომ გუჯრები, სიგელები და საგვარეულო წიგნები ჯერ აქამომდე არ არის დაბეჭდილი. გადაკითხვა მათი სხვა და სხვა არხივებში ძნელი იყო. მაინც იმედი გვაქვს აქ დართული ლექსიკონი მკითხველს არ გაუძნელებს აზრის გაგებას და შემდეგ შემუშავების რამდენადმე დაეხმარება. ამავე განზრახვით დაურთევით ქართულის აღრიცხვის, ფულის ანგარიშის და სხვათა განმარტება.

ჩვენი გამოცემა, როგორც ყოველი ამ გვარის თვისების პირველად გამოცემული წიგნი, უნაკლულო არ იქნება. ჩვენი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება, თუ დასტურლამალის მომავალი შემმუშავებელი და გამომკვლეველი ამ გამოცემაში მოიპოვებს ნამდვილს ტექსტს, სხვა და სხვა ხელნაწერ დედნებში დაცულს.

დასასრულ არ შეიძლება დავიდუმო და მადლობით არ მოვიხსენო მაღალ პატიოსნის ბატონის ჰუსეინ გაიბოვის, აწ კავკასიის აქეთ მხრის მუფთის გულკეთილი დახმარება უცხო ენათა სიტყვების განმარტების დროს და ბატონის ალექსანდრე ივანეს ძის სარაჯიშვილის დაუშურველი თანამშრომლობა დამატებულებათა შედგენის დროსა.

ტფილისი.

1886 წ. მკათათვის 2. პეტრე უმიკაშვილი.

ჲ· ეჭჳა შენ ყოველთა მბადო, დიდება შენდა·

რომელმან ყოველნი არა არსნი არსებად მოიყუანენ, იყავ კარ, და ეგები უკუნისამდე, ჟამთა და წელთა დაუბერავობითა, და შენ გადიდებენ ყოველნი ქმნულნი ხელთა შენთანი, დიდება გამოუთქმელსა და მიუწდომელსა ძალსა მღრთაებისა შენისასა, და აღურაცხელსა კაცთა მოყუარებასა შენსა! ჩუენ მიერ პირველიდგანვე ზეცით საქართუჱლოს მეფედ განკუთვნილსა და აწ სასუფეველ ცათა შინა სულ-ბრწყინვალედ მნათობელის პირველ ვახტანგ კმობილისა, და შემდგომად სპარსთა ენითა შანავაზ წოდებულის ძისა მისისა ქართუჱლთ მეფისა, და სრულიად ერანელთა სპასალარისა და სპასპეტად დადგინებულისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარ-ბეგისა, გირიშკისა და აჭიალათის მპყი-რავისა, პირველ გიორგი კმობილისა, და შემდგომად მეორე შა-ნავაზ წოდებულის მაგიერად მეფომან, ძმის-წულმან მისმან, და მემან ერანის მდივანბეგის შაჰ ყული-სანასამან, საქართუჱლოს ჯანიშინმან ბატონის შვილმან პატრონმა ვახტანგ; ოდეს ვიგულს-მოდგინეთ წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა, განვჩინეთ და განვუწესეთ წიგნითა ამით, რათა ყოველნი ხელის-უფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ იქცეოდენ და განაგებდენ თჳს თჳსსი მოხელენი სახელოთა თჳსთა, და წესითა და შემსგავსებითა იქცეოდენ, რომელთაცა არს გონიერება, უკეთუ სჯულის დებასა საკელმწიფოთასა ეგნებ უცვალებელად და ნურავინმცა მკადრე იქმნებიან ბრძანებულისა და განჩინებულისა რიგისა ამის შეცვალებით სლვასა. არამედ კეთილად და ესრეთ ჭყონ, ვითარცა გუჱმეცნნეს: რამეთუ უკუჱმლად და დაუცადებელად არს მივლინება ბოროტ, უწესოდ მქცევთა ზედან, ხოლო პატივ და დიდება არა მედგარსა მონასა, არამედ მორჩილად განმცესა და მართებით

მქცევს. აწ ვიწყოთ, და ამით ყოველთა ჴსცნან და დაიმარხონ წესი და რიგი ესე, თუ რომელი სამსახურის მოქმედი და მოკელენი და-გვიდგინების საკელოთა თჳსთა ზედა, ესრეთ თჳთოეულად აღწერილის წიგნითა ამით, რათა იცნობდნენ და ეგნენ, და ნუმცა ვინ დაკლებულ იქმნების ნასევარი ერთ-სანად, და ნასევარი მეორედ სანს ცუალებითა, და რიგითა სამსახურსა ჩუენსა, რაჟამს რომლისა რიგი აღესრულოს. კუალად სხუა კარისაგან განყურელად იქმნებოდენ, თჳსითა უხუცესთა დასტურითა და შეკითხჳთა.

პირველად ჯერ-არს ჴსენება და აღწერა, რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხჳსა.

ბ. ნოქბათიასაულისათჳს.

იოთამისშვილი ორბელი.
თარხნისშვილი ზაალ.
შანშიას შვილი ბეყან.
ხაგთასშვილი ბესშაზ.
შალიკასშვილი ედიშერ.
სუფრაჯისშვილი ბასუტა.
თოფჩიბაშისშვილი ალა.
მუღუმა.
იედიგარასშვილი.
ხალილა.
საფარაჴმადას ქმა.

გ. აბდრებისათჳს.

აბდარ-ბაში ქაისოსრო.
აბდარი თავლიდარი ზალია.
აბდარი სულუა.
ქასაბერი.
ემაკასშვილი ავთანდილ.
ჯანდიერის შვილი.
ჯირას შვილი ლევან.
არეშისშვილი გურგენა.

დ. ზინდრებისათჳს.

ყორღანას შვილი ავთანდილა.
რუისელი გოგიტა.
გიუასშვილი ბასილა.
იქივ შოშიტა.
აბრამასშვილი.
ქრცხინვალელი უნამე.
კავთისხეველი გენგამე ბერი.
მიქელისშვილი იოანე.

ე. ჯილდის მიგმდებისათჳს

ადუასშვილი.
ტუკა მეულიძე
დიდმელი ჯანარას შვილი.
არეშისშვილი ჩალაბა.
არეშისშვილი ურქმაზა.
არეშისშვილი მელიქუა.
ყორღანასშვილი გოდერძა.

ვ. ალანდრებისათჳს.

სააკამე ქაისოსრო.
ქარიმა.
ელის ალანდარი.
კიდევ ელის ალანდარი.

ზ. ალაყაფის შუა სახლის რიგისათჳს.

თუ ბატონმა ალაყაფის შუა მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკაღასი, ორი ბოქოულთ-უხუცესი, ორი სობათ იასაული დადგებოდენ. ოთხი აბდარი, ერთი სუფრაჩი, ოთხი სუფრაქეში, ორი თუშმალი, ორი მეშარბათე, ერთი მეღვინეთ-უხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგა-მდეგი, ოთხი მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონ-ყორჩი, ერთი სხვა ყალიონ-ყორჩი. ამათ იმავ ზემოთის წესით იმსახურონ.

ჱ. ალაყაფის აივნისათჳს.

თუ ბატონმა ალაყაფის აივნის შუა სახლში მეჯლისი ბრძანოს, იმ სახლისათჳს გააკეთონ ფლავი, ყაბი თექვსმეტი. ამისგან სამი ყაბი ბატონის წინდასადგმელად, და სხვა საჯაროდ, მისის აშითა და ბორნითა; ზროხა ორი.

თ. ახალის სასახლის რიგისათჳს.

თუ ბატონმა ახალს შანიშინში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკაღას-ბაში, ოთხი ბოქოულთ-ხუცესი, ორი სოიბათ იასაული, აქეთ იქით დადგნენ. ერთი აბდარ-ბაში, ხუთი აბდარი, ორი სუფრაჩი, ორი ფარეშთ-უხუცესი, ორი თუშმალი, ექვსი სუფრაქეში, ოთხი მეგოდრეთ-უხუცესი, ოთხი მეშარბათე, ერთი მეღვინეთ-უხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი სხუა მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონ-ყორჩი, ორი სხუა ყალიონ ყორჩი, ესენი იმავ ზემოთის წერილის წესით იმსახურებოდენ.

თუ ახალს შანიშანში ბატონმა მეჯლისი ბრძანოს, იმისთჳს უნდა გაკეთდეს ფლავი, ყაბი ორმოცი; ამისგან ხუთი ბატონის წინ-დასადგმელი, ოცდა თუთხმეტი საჯაროდ, იმისის აშითა და ბორნითა; ზროხა ოთხი.

ი. აჯილღის ქერისათჳს.

აჯილღისა ქერი აქუს:	კავთისხევს კოდი.. ლ.	წინწყაროს . . . ნ
დიღომს კოდი. . . ჲ.	ქჳემოზოლნისს. . . ჲ.	გომარეთს. . . ლ.
ატენს კოდი. . . კ.	თრიალეთზედ. . . ჲ.	ოფრეთს. . . ლ.
გორს კოდი. . . ჲ.	ტაშირზედ.	

ია. აბანოთ იჯარათათჳს.

აბანოს იჯარა ზოგჯერ ცოტა ყოფილა, და ასლა თორმეტს თუმნად არის, ზოგჯერ ცამეტად იქმნების. იმის ათის თავი აილების, ნახევარი სალთხუცისა არის, და ნახევარი ვეზირისა და მდივნებისა.

იბ. არაყხანის იჯარათათჳს.

ხან ოცდა თუთხმეტი, ხან მეტ-ნაკლები იქმნების ხოლმე. ვინც იჯარად აილებს არაყს, სხუა კაცი მის მეტი ვერც გაჰყიდის, ვერც იყიდის. სოფლის არაყს იყიდის ლიტრას სამს ბისტად, შაურად; მერმე დუათაშად გამოჰხდის და ექუს შაურად ლიტრას გაჰყიდის, კან-შვიდ შაურად. ამისი რუსუმი აილების, ნახევარი სალთსუცისა არის, და ნახევარი ვეზირისა და მდივნებისა.

იგ. ელის ნოქრის მოჯამაგირის ამასალისათჳს *).

სოფი ოღლი მამად ალა. . . . გ).	ხიალუ მერაბ ალა. . . . . . გ).
ალასიდარი ჭუხენა. . . . . დ)	ნაბი მოლა-ოღლი. . . . . ბ).
ვეზირის ძმის-წული მუსტოფა. ბ).	სალოღლი სადუხ მოლა. . . ა)ჯ.
ხალიფად ინოღლი აბდულა. . ბ).	მეთი ოღლი აჭმად ალა. . . . ბ).
ისმაილოღლი მაჭმადა. . . . ა)ჯ.	ალავერდი აჭმად ოღლი. . . ბ).
მოლა ბაბა ოღლი აბულ ყასუმა. ა)ჯ.	ყაზიოღლი ნურია. . . . . ბ)ჯ.
მოლა ბადმულ-ოღლი მაჭმადა. ვ).	ველიოღლი ყაზი ყარდაშა. . ბ)ჯ.

*) რადგანაც სტამბაში ვერ ვიშოვნეთ ძველად სმარებული თუმნის გამომხატველი ნიშანი, ამიტომ თუმნის ასოს ფრჩხილი მოუსვით მარჯვნივ, ფრჩხილ გარეთ მარჯვნივ მანეთი და ფული იქნება.

მაგ.

მოლა მუსტოფა მეთ ოღლი. . ა)ჯ.
ქეშალუ ყოჯა. . . . . ბ).
ფირ მამად ოღლი იბრეიმა. . . გ).
ხალილ აღა დერმი ოღლი. . ე)
ემინ აღა უზბაში. . . . . . იბ).
ეთაზე. . . . . ვ).
ქოდაკზე. . . . . ვ).
იალღუფ ოღლი მუსტოფა. . ა)ჯ.
ვარდა ოღლი უსუფა. . . . . ბ).
ალანდარი რუშან. . . . . . დ)
ნური აღა. . . . . ბ)ჯ.
ალავერდი გულ-ოღლი. . . . ბ).
მუსტოფა ანა ყიზ ოღლი. . . ბ).
მაჭმუდა აჯი ჯიბრაილ-ოღლი. ბ).
შარაფ ადინ აღა. . . . . . . გ)
ქათანაქჩი ჯავარ აღა. . . . . ბ).
ქათანაქჩი ალი ყული. . . . . ბ).
ქათანაქჩი ფათა. . . . . . . ბ)ჯ.
სარაჯლუ ემინ ოღლი იბრეიმა. ა)ჯ.

აზიმოღლი ველი. . . . . . . ბ).
ჭაჯი მასით ოღლი ყული უსუფა. ბ).
დარგა ყული ჯავანშირი. . . . ბ).
ფირ მაჭმად აღა ამირამადლუ. ბ)ჯ.
ჩოლაკ სულეიმან ოღლი. . . ა)ჯ.
ჭაჯი ჭაჯი ოღლი ველია, და
ფირ მამადა. . . . . დ).
შისი აღა ყაზახი. . . . . . ე)
ველი ამად ოღლი. . . . . . ბ)ჯ.
ამად აღა აზიზ ოღლი. . . . ბ).
მუსტოფა აზიზ ოღლი. . . . ბ).
ეიბადა ყიზილ აჯალუ. . . . დ).
ისა უზბაშის ძმა. . . . . . ა)ჯ.
ისმაილ აღა ყაზახი. . . . . გ).
იანუ ოღლი მუსა. . . . . . ა).
მუსაბეგ. . . . . გ).
ამადაღა. . . . . ბ).
მუსა. . . . . ბ).

იდ. აღამათის ელის კაცზედ დებულებისათჳს.

ბატონი რომ ყარაიაზედ წაბრძანდება, ოცს კომლზედ ზროხა—ა; ცხუარი — დ; ბატკანი — დ; ბრინჯი ლიტრა — ი; ერბო ლიტრა—ბა; ფქვილი ლიტრა—ი; ქერი ლიტრა—კ; მარილი ლიტრა—ე; სახვი ლიტრა—ე; ბზე საპალნე—ბ; რამდენიც ოცი კომლია, ასე გამოიღებენ. ამის ათის-თავი ხალთხუცისა და მდივნებისა არის, სხუას მოხელეს საქმე არა აქუს.

იე. აღეკისა ბატონის გამოსადებისათჳს.

სამი დღე ბატონის სჭნა, იმისი მკა, ზიდუა, ლეწუა; თავზედ სამი აბაზი მალი, საქჴრით ძროხა ბატონისა არის. ფურზედ ჩარექი ერბო, შვიდზედ ერთი ღალა აქუს. ფეტვჳსა ამოკუმთილი აქუსთ,

ქომლზედ თითო ულაყი აქვსთ. საშობაო ორი ცხვარი, და ათი ქათამი, ასევე სააღდგომო ორი ცხვარი და ათი ქათამი აქვს. ბეგარა-რაზედაც დაუძახონ, უნდა წავიდეს. სამი დღე უნდა ზვარი იმუშაონ თავზედ თითო კონა სარი აქვსთ, თუ ქურდობა შეაჩნდესთ ვისმე, საზღაური ბატონისა არის, და ათის თავი მოურავისა. მოურავს ერ-თი დღე ხუნა, ერთი მკა; მისი მოზიდუა, ლეწუა, თავზედ ორი მაური; თავის გასამტეხლო. ძროხა ერთი საშობაო. ცხვარი ერთი, კვამლზედ ქათამი, სააღდგომოთ ერთი ბატკანი, ქათმის კვერცხი. სააღდგომო ბატონის მოსავლისა ათის-თავი ნახევარი მოურავისა არის, და ნახე-ვარი მეღალეს სახლთხუცესსა და მდივნებსა. ქალის საჩექმე სამი აბაზი მოურავსა, ულაყის ათის-თავიც მოურავისა არის.

იგ. ავლაბრის რიგისა და სამსახურისათვის.

რასაც ქალაქის მოყალნე და თარხანი იქს, ისრე ესენიც გაერე-ვიან. ღალა დღიურზედ სამი ფოხალი პური, საბალახე სამართლიანად. ერთი მესრე ვინც იქნების ერთი სამესრეო უნდა შეინახოს, სითარ-ხნე აქვს. და თორმეტი კოდი პური ულუფა. მუშას, სოფლებიდამ გარიგებული სამკალი ხარჯი ბევრი მოვა, თუ ცოტა ნაზირი იყ მის-ცემდეს. ქათამი თუ აბარია, თავნი.—იზ. იმისი ნაშენი წელიწადში.—ნა.

იზ. ატენელს კაცზედ ბატონის დებულებისათჳს

საბალახე ძირის-თავი, ნაპირის თავი, კოდის-პური, ულუფა, ორი ბატონს, ოთხი პატრონს, სააღდგომო ძღვენი, ქათმის ბარები, ურიებს სანთელი.

იჱ. ატენის მოურავის დებულებისათჳს.

ქვევის თავობა მოურავისა არის, სოფელში თითო კოკა ტკბი-ლი, ძღვენი, ცხენის ბმა, გასამყრელო, თავის გასამტეხლო, და საჩექმე.

ით. ატენის კასადრისათვის.

თერთმეტის თავს სამს წილს ზჳრებიდამ მოურავი და კასადარი გაიყოფს; სთველზედ პურს მესთჳლესთან აჭმევენ. ატენის მესთვლისა თჳთო კოკა ტკბილი, სთველში პურის ჭმევა.

კ. ატენის ნაცჳლისათვის.

ატენის ნაცჳალი თავის განწესებისამებრ თავის სარგებელს აიღებდეს, როგორც განგვიწესებია და გვიბრძანებია.

კა. ატენის მეზვრისათჳს.

ატენის მეზვრეს ჭაჭა, თჳთო ზროხა, ბარი, სათიბელი წალდი, შვიდი აბაზი ტანის-სამოსისათვის.

კბ. ატენის ბატონის ზვრებისათჳს.

ატენის ბატონის ზჳრის მუშაობისა რიგი: ელენის ზჳრის მესამედს წვრილნი და საციციანოელნი შეიმუშავებენ. ამავ ზჳარში ერთს ამდენს ბატონის ფასით შეიმუშავებენ; კიდევ ამავ ზჳარში ერთს ამდენს ქვახვრელნი მუშაობენ.

ციცისშვილის ედიშერის ნაქონს ზჳარში რომ გლურჯიძისათჳს წაერთმია, იმასაც ბატონის ფასით მუშაობენ.

დიდს ზჳარს, იისციხელნი, ავკელნი, ვერელნი, გარდატენელნი, ბობნაველნი, ხანდნელნი, თხილარნელნი, ბისელნი, ღვთისკეველნი, ღვარებელნი, ოლოზნელნი, ბნეველნი, კუზველნი ბარამათუბნელნი, — ესენი ფავის სარით, ნეხვით და ყოვლის ფერით მუშაობენ. მაგრამე ამავ ზჳარში ცოტას ალაგს ჭვიროსელნი მუშაობენ; ისინი აიყარნენ და იმათს კერძს ბატონიც ფასით მუშაობენ. ატენელნიც ამავ ზჳარში მუშაობენ. ამ ფასით სამუშაოს ზჳრებს მიეცემის თეთრი სალაროდამ, ან ფარზადამ. პური და ღვინო მიეცემის ერთპირ ზჳრებისათჳს: პური კოდი, ღვინო კოკა.

კგ· ყაიყულის გამოსაღების გარიგებისათჳს.

ახლა რომ საქართჳჱლოს ჯანიშინმა ბატონის-შვილმან ვახტანგ ყაიყულის გამოსაღები საბატონო და მოურავისა ესე ბრძანა და გაარიგა, დასტურად მეფის პატრონის გიორგის გარიგების წიგნი სხჳა იყო საბატონოსა და სამოურაოს გამოსაღებისა; მაგრა მაშინ ყაიყული ახალი მოშენე ყოფილა და მაშინდელი რიგი მართალი არის, ისე იქნებოდა. მაგრამ რა ქჳჱყანა მომრავლდების, ერთმანერთში ბევრი ძალა და ურიგო მოჴდების. ამის თჳს თჳთონ ყაიყულელნი მოვიდნენ, ბატონის შვილს ჯანიშინს შემოეხჳჱწნენ და ასრე გაარიგებინეს უფროსი ერთი უწინდელი გარიგებაებივე არის ამას შიგან, მაგრა ასე უნდა იქნებოდეს.

არის ბატონისათჳს მალი თავზედ ექვსი შაური. ამას გარდაის თავზედ ერთი შაური კიდევ სხჳა აიღების. ამისგან ნახევარ-შაური სალთხუცისა და მდივნებისა; ერბო ფურზედ სუთი სტილი გამოიღონ. ამ წესით ერთი ერთიბრიანი კაცი წავიდოდეს, ფურს დასთჳლიდენ, სოფელსა და სოფელსა რაც ფური დადგეს, თავ თავის სოფლის მამასახლისებს დააწერდენ. მამასახლისი ამ ერბოს სოფლის ულაყით ჩამოიტანდეს, აუშტარს მიაბარებდეს. ვინც ამ საქმეზედ სამწერლოდ წავიდოდეს, ასმევდენ, აჭმევდენ; სხჳას ნურას მოსცემენ.

კდ. ახალის მოსულის კაცისათჳს.

ახალი მოსული კაცი ერთს წლამდის თარხანი იყოს, ნურასა ჰსთხოვენ; საბატონო ულაყი არა ჰსდებია, ნურც ჰსთხოვენ. თევზის ფასი გარდაკვეთით ოთხი თუმანი არის, ერთობით ყაიყულზედ, და მისს დროს იასაულით შეაგდებენ. საქჳრიო კარი ბატონსა, სამი აბაზი მოურავსა, აბასი ნაცჳალსა, აბასი მამასახლისსა; საბალახე საბატონოდ ასზედ ორი ცხჳარი, ერთი ბატკანი, ორასზედ ერთი შიშლიგი მობალახეს; საჩვენოს ცხჳარს მებალახე მეცხჳარეს დააჭერინებდეს. ცხჳარზედ ცხჳრის საბალახე აიღონ; თხაზედ თხისა, რომელსაც დაიჭერდეს; მერმე ქრთამით ნურარ გამოსცჳლიან. მობალახეს სოფელი, როგორც შეეძლოს და რაც ჰქონდეს, ისრე დასჳდეს. ბა-

ტონის სათხოვარსა და გამოსაღებზედ საასაულოს ნურა მოსაქმე ნუ აიღებს. აურილის კაცის სახლში რომ სხუა მოსული გლეხი შეგიდეს, იმისს ნახნავ ნათესს ნუ წაართმევენ, და ამ გლეხმა ბატონის სამსახური და გამოსაღები იმ წელიწადს ქნას.

ერთი კაცი რომ დაბერებული იყოს, და იმასი ორი და სამი შვილი მალს იძლეოდეს, იმ ბერს კაცს დავთარში ნუ ჩააგდებენ; მალს ნულარას ჰსთხოვენ. იქივ რომ ერთმანეთში ქორწილობა იქნას, შვიდეულად აზღვევინონ; ერთი ორად პატრონს, ოთხი ბატონს, და ერთი მოურავს.

თუ უცხოს ქუეყნის მოპარული შეასნდეს, თავნი პატრონს, ერთი ბატონს, ერთი აბაზი მოურავს; სახელის ერთის შეგდებაზედ, ერთი ჩარექი მოურავს, სამი ჩარექი ბატონს. ზეთს სხუას ქუეყანას გამოსასვლელად ნუ წაიღებენ; თუ წაიღონ ქვსი — ს. — ჯარიმა ჩვენთვის წაართვან.

თუ ვინმე ახალის მოურავის სოფლის აღშენება მოინდომოს; ჩვენ მოგვახსენონ; მამასახლისს სოფლიდამ ჩვენ მივჰსცემთ; იმას გარდა სხუა რაც გლეხნი აურილ-იყოს და ერთი მეორის სოფელში მოსულიყოს, აყარონ და იქივ თავის ალაგს მისცენ და დაასახლონ.

მოურავს თავის გასამტყუნლო ხუთი აბაზი, ნაცვალს ორი. შაური, კელის მოტეხისათჳს ოცდა ათი შაური, ნაცვალს სამი შაური; აგრეთვე კბილის ჩაგდებინებისათჳს, ბოზობის მქონელმან ხუთი მინალთუნი, ნაცვალს ათი შაური; გასამყრელოდ მოურავს კარი, ნაცვალს აბასი, მამასახლისსაც აბასი. ქერი კომლზედ სამი კოდის, ნაცვალს კოდი ერთი; ოურზედ ერთი სტილი ერბო. ხარჯში თუ იმ ქვეყანას გათხოვდეს: მოურავს ექვსი შაური, მამასახლისს აბასი; თუ სხუას ქუეყანას წაიყვანონ, მოურავს ხუთი აბასი, მამასახლისს აბასი. მოურავი უბრალოდ ნუ მივა, და როდესაც მივიდეს, მართებულად ძღვენი მიუტანონ ღვინო თუ ნებით, თორემ ძალით ნუ ჰსთხოვენ. მოურავი ნურც ქართული, ნურც სომეხი, ნურც თათარი ქალაქს კოდორზედ უღაუს ნუ ჰსთხოვს; როდესაც ნაცვალი იქნებოდეს, რიგისად პურს აჭმევდნენ. ღალის ათის-თავი, რაც ავიდეს, სამი წილი მოურავსა და კასადარსა, და მეოთხედი სალთხუცესსა და მდივნებსა. ნურა მოსა-

ქმე ღვინოს ნუ ასყიდვინებს, თუ არ თავის ნებით მიუტანონ. თუ სოფლის ძალა ან მოურავისაგან ან სხჳსაგან მამასახლისმა არ შეგუატყობინა, ექუსს თუმანს წავართმევთ. მამასახლისები ღვინოს თოჯს ნუ იქმონენ. რომელიც სოფლის კაცი ერთი მეორეს უჩივოდეს, იმისი სამართალი მოურავმა ჰქმნას, და რომელიც სოფლიდამ სოფელი და სოფელი ერთმანერთს უჩიოდეს, იმისი სამართალი ბატონის მოსაქმემ ჰქმნას. იქნების ასეთი საჩივარი, ან კაცის სიკუდილი, ან დიდი საქმე რამე, იმისი სამართალი კარზედ უნდა იქნას. — კასადრის რიგი და სარგო.

კგ. აიდარ-ბეგის კეობაში აშენებულის სოფლებისათჳს.

არის აიდარბეგის კეობაში აშენებული სოფელი, რომელთაც სამოურავოდ აქუსთ:

ურუტი.
ყათირულუ.
ყიზილ ყიარათი.
ბოჰაცორი.
ჰაიდარბეგი.
ძეიჩი.
ლაყვარდლი,—მდივანს გჳს.
აუშენებელი სარუყალა.
ყირხბულახი,—ოთარ მდივანს.
ზარიაქანდიც,—ოთარ მდივანს
ბარქადარა,—გივს მდივანს.
ბუზურგ ბულახი.
ოთორ ბულახი დარგაჰყულის.
ოთოერ ბულახს სუთოქულანი, ჯავახშირის კიდი არს.
ქურთ ყალა აზიზ ოღლი მამადას შვილს.
ყარყალა ქვევითი იესეს.

კდ. აჯილდის მიბარებისათჳს.

უნდა შეინახოს ჯოგის აჯილდა ყოველს ზამთარს,—ბატონის იარაღით მიბარებულია:

კათოლიკოსმა. . . . ა.
მთავარ ეპისკოპოსმა. ა.
მროველმა. . . . . ა.
მანგლელმა. . . . . ა.
ქვათახევის წინამძღვარმა. . . . . ა.
ბოდბელმა. . . . . ა.
ქსნის ერისთავმა. . ა.
სარდარმა. . . . . . ა.
ამილახორმა, . . . ა.
ზემო ციციშვილმა. . . . . . ა.
სომხითის მელიქმა. . . . . . ა.
ჯავახის შვილმა. ა.

კზ. ქართლის აღწერისათჳს.

როდესაც ქართლი აღწერილა და ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს, ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მელიქის საყდარს გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთს და საბარათაშვილოში, — ამაზედ საბარათასშვილოს სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღჰსწერს და დავთარს დაიჭერს; მეფის მდივანი წავიდოდეს.

ზემო ქართლის კეობას აქეთ, ნეძვი და გორტანჯერი და ტაშის კარიც დავთარში ჩავარდების; და იმას აქათაც საამილახვარომდი, ამილახორის მამულსაც ზემო ქართლის სარდარი და ერთი მდივანი წავა; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი ჰსწერდეს.

საციციანოს მკარეს, ხადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის. ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა, და მდივანი წარჰყვება, მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი.

მუხრანს და ორისავე ერისთვის მამულს, რომელიც ქალაქს დავთარში ჩავარდნილა, იმაზედ მუხრანის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ; მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს.

ეს სარდრები და მდივნები რომ წავლენ, იმათი რიგი და წესი ასრე არის: რომელსაც სოფელში რომ ჩადგებოდნენ, იმ სოფელმა საკომლოდ ორი შაური, და ბოგანოდ ერთი შაური აღსამწერლო უნდა გამოიღოს; და ეს სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ. დახდომითაც ის სოფელი უნდა დასჴდეს; და რომელსაც სოფელში არ ჩაუდგებიან და ისრე აღსწერენ, იმ სოფლის საკომლოდ აბასი, და ბოგანოდ ორი შაური უნდა გამოიღოს; ერთის ბოგანოსი და ერთის საკომლოსი იქნების ექუსი შაური, ამისგან სამი შაური სარდარმა და მდივანმა შუა უნდა გაიყონ, რომ აღსამწერო არის; დარჩების სამი შაური, რომ ეს ულუფისა არის. ამისგან ორი შაური, სარდარს, რომ მეტი კაცი ახლდების, და ერთი მდივანსა. მაგრამ მდივანსა და მისს კაცებს სარდარმა უნდა ასუას, აჭამოს. თუ სხუა მეულუფე, ან სხუა სასყიდელი კაცი გაჩნდეს, კარგი სარდარმა უნდა გასწიოს და მდივან-

მა აღარ დახარჯოს; ამიტომ რომ ულუფისა ორი წილი მიაქჳს. ამ ქუეყნის აღწერაში ერთს მჴარეს დედოფლის მდივანი წავიდეს. რაც იმის აღწერაში სამეფო კაცი იყოს, იმ სამეფოს კაცის სარგო მეფის მდივანს უნდა მოუტანოს; და სადაც მეფის მდივნის აღწერილში სა-დედოფლო კაცი ერიოს, იმისი სარგო და აღსამწერლო დედოფლის მდივნებს მოუტანონ.

საურთან დედოფლის სალთხუცესს და მდივანს ჴელი აქჳს. მე-ფის სალთხუცისა და მდივნებისა არის ორი შაური, რომ მესაურისა აილების იმისგან ნასყვარ შაური.

კჱ. ბოქაულთ-უხუცესთა და ეშიკაღას-ბაშებისათჳს.

დაგვიყენებია ეშიკაღას ბაშათ: არაგვის ერისთვის შვილი ზუ-რაბ, ამილახვარის შვილი რევაზ; ეს ორნი ამ ჴელობაში იყუნენ.

ბოქაულთ-უხუცესი ორბელის შვილი გორჯასპი.

ციცის შვილი სეხნია.

ბურჯი რევაზის შვილი რევაზ.	არაგვის ერისთვის შვილი ნუგზარ.	ფალავანდის შვილი შიოშ.
ციცის შვილი ლიპარიტ.	ამილახვარის შვილი ბეჟან.	ჩხეიძე თეიმურაზ.
შალიკას შვილი ზურაბ.	ავალის შვილი ზაზა.	ციცის შვილი ლევან.
ნარიმა.	ზურაბის შვილი ბეჟან.	შალიკას შვილი იაშერ.
საამის შვილი ქაიხოსრო.	აბაშის შვილი დავით.	ქავთარის შვილი იესე.

კთ. ბატონის ბაღის წყლის გარიგებისათჳს.

ბატონის ბაღის წყლის გარიგების წიგნი აქჳს ფარეშთავლიდარს ასე-ლანს, ასე რომე იმას ჰქონდეს, და ყოველს პარასკევს დღეს წყალმა ცისის ამბრისათჳს უნდა იდინოს. და პარასკევს საღამოს, შაბათს, კჳრას, დღე და ღამე ბატონების ბაღში უნდა იდინოს. ორშაბათსა და სამშაბათსა დღე და ღამე თფილელის და ქალაქის ბაღებისათჳს უნდა იდი-ნოს. ოთხშაბათსა და ხუთშაბათსა ცისისა და აბანოებისაგან იდინოს, და ამ რიგში ჭაჭი მამად ყულისაც თავის ბაღში მართებულად წყალს მისცემ,

დენ. თუ, ვინიცის, წყალ-ცოტაობა იყოს, ბატონის ბაღს წყალი არ უნ-და დააკლდეს. ვინც ამ ბრძანებას გარდავა და უჯეროდ წყალს ადენს, თორმეტი მინალთუნი ჯარიმა საბატონოდ გამოართვან, და ათის-თავის ასლანი აიღებს.—ანჩისხატის დეკანოზი, მსატუარი გრიგოლ-და მისი მამა იოსებ შემოგვეხვეწა, გარეთ-უბანს თავის პატარა ბაღისა თჳს წყლის ბოძებას, და ამასაც წყალს მისცემდეთ. როდესაც გარეთ-უბნის ბაღები მოირწყოდეს, ჩუჱნი მომხსენებელი და აზნაურშვილია, ამისთჳსაც პატივ-გვცია წყლის ბოძებით.

ლ. შიგა-მდეგისა და ქორის ბაზიერისათჳს.

ბურდიას შვილი იესე.
სოლაღასშვილი დათუნა.
ურდუბეგას შვილი გიორგი.
შისაიდარისშვილი ასლამაზ.
ოთოთას შვილი ავთანდილ.
არეშისშვილი ბეჟან.
არეშის შვილი გიორგი.
სამშვილდელი დეკანოზის შვილი.
ხერგეში ნინიას შვილი.

ლა. ბატისა და ქათმისათჳს.

სადაც ჩვენს სახასოში, თრიალეთზედ თუ სხუაგან, ბატი ჰყუან-დეს ვისმე, ყველგან ასი ბატი შეაწყრონ. თრიალეთს და კავთისკევს სოფლად გაუყონ და მიაბარონ. თვითონ ბატში წელიწადში ოროლი ბუბული ჩუჱნს ქარხანაში მიაბარონ.

მემანდარი სტუმრის საკლავს ნასყვდეს, და ავს ნუ გამოართმევს მესაკლავესა.

სადაც ჩვენი სახასო სოფელი იყოს, დავთრის პირზედ თრია-ლეთსა და კავთის-კევს გარდაისად, კომლზედ თჳთო ქათამი მიაბა-რონ წელიწადში, და წელიწადში სამ-სამს ქათამს და სამს კუჱრცხს ჩუჱნს ქარხანაში მიაბარებდენ.

ლბ. ბრინჯისათჳს.

ხუსტრები ლანჩარიებს წესიერსა და ავს ბრინჯს ნუ გამოართმე-

ვენ; ნაზირი წითელს ბრინჯს კიდეც გაათეთრებინებდეს. მეჯლისად რომ იქნებოდეს, აუშტრები წინა დღის ბრინჯს კარგა გაარჩევდენ.

ლგ. ბოშ-ყაბახსათჳს.

საჭმლის ბოშ-ყაბისა უწინ ასრე ყოფილა: სამი თუშმალი, ორი ხომესი და ერთი თათარი. ხომესს ბოშ-ყაბი ერთი—ა, თათარს ბოშ-ყაბი—ა, ოსტატს თასი—ა, ხაყას თასი—ა, აუშტარს თასი—ა, მეთევზეს თასი, მეშრიბს ბოშყაბი. სხუა არა ყოფილა დავთარხანაში.

ლდ. ბოქოულთხუცების სარგოსათჳს.

ჩუენ სრულიად ერანის მდივან-ბეგმან და საქართუელოს ჯანიშინმან, პატრონმან შაჰყულიხან *) ჩუენის კარის ეშიკაღას ბაშის, ბოქოულთხუცისა, და ყაფჩიჩისა, იასაულის სარგო და ან ყოფა ამ გუარად გავარიგეთ, ასე გვიბრძანებია: რომელსაც ქელ-ჯოხიანსა, დიდსა თუ ცოტასა, ანუ უხელ-ჯოხიანოსა ჩვენ დანისტრად სამსახური უბრძანოთ, იმასთან არც ბოქოულთხუცესს და არც ყაფჩიჩებს, არც იასაულებს ქელი არა აქუსთ. მაგრამ რაც იმ დანისტრად წარსრულმან კაცმან სააისაულო იშოვნოს, იმისიც მეოთხედი ეშიკაღას-ბაშს მოუტანოს, სხუას ქელ-ჯოხიანს ქელი არა აქუს. სხუა უდანისტროდ ან ჩვენგან, ან მდივანბეგისაგან რაც გარიგდებოდეს, ან განაჩენი დაიწერებოდეს, იმისი წიგნები ყაფჩიჩს მიებარებოდეს, და ის გაგზავნიდეს. ექუსი შაური რომ მოვიდეს, იმისი ნახევარი სამი შაური იქნების; ეს ეშიკაღას ბაშმა და ბოქოულთხუცესმა ასრე გაიყონ, რომე, შაურ ნახევარი ეშიკაღას ბაშსა, და ნახევარი სხვა ბოქოულთ ხუცები იყოს, ყველამ გაიყოს. იმ ექუსის შაურისაგან სამი შაური რომ დარჩა, ასრე გაიყონ ის სამი შაური: რაც ყაფჩიჩია, იმათის და გაუყონ; და ერთი შაური რომ დარჩა, რაც იასაულებია, იმათის და გაიყოფენ. ბევრი მოვიდეს, თუ ცოტა, ამ წესით გაიყოფდენ. მდივანბეგი დანისტრად სამ-

*) ეს სახელი მეფე ვახტანგს VI ერქუა, ოდეს იყო თათრად.

სახურს ნურავის ქტყვის. სწუას ქუწყანას რომ ყავიჩი და იასაულნი წავიდოდეს, ეშიკაღას-ბაშებს და ბოქოულთ-ხუცესს ამასთან კიდე არა აქვს. ბოქოულთ-ხუცესს თუ რაც ქალაქ-ვოკვანი მდივნისტროდ სჯა იასაულობაზედ დადგებოდეს, ნურც ეშიკაღას-ბაშს, ნურც ბოქოულთ ხუცესს, ნურც ყავიჩებს და იასაულებს თავის სარგოს წილს ნუ დააკლებენ. ეს განაჩენები თავლიდარსა და ყავიჩს მიებარებოდეს, ყაფიჩბაში მართებულს ყავიჩს გაგზავნიდეს; რაც ამისი, ან საიასაულო და სამდივანბეგო მოვიდეს, ყველა თავლიდარს მიებარებოდეს. თავლიდარი გაუყოფდეს ეშიკაღასბაშებსაც, ბოქოულთ-ხუცესსაც, ყავიჩ-ბაშსაც და იასაულებსაც. უთავლიდროდ, რაც იასაულმან და მოსაქმემ ეშიკაღას ბაშს და ან ბოქოულთ მოუტანონ, იმ იასაულს მდივანბეგმა შვიდეულად აზღვევინოს და ჩვენთვის მიებაროს. აგრეთვე სამდივანბეგო თავლიდარს მიებარებოდეს, და თავლიდარი მდივანბეგს თავისას მიართმევდეს: მეფის მდივანს თავისას მისცემდეს და სადედოფლოსაც თავისას მისცემდეს. რომელსაც სადედოფლოს კარზედ სამეფო იასაული და ან სადედოფლო იასაული წავიდოდეს, თუ ყავიჩი, ვინ გინდავინ, ნახევარი საიასაულოსი რაც მოვიდოდეს, დედოფლის იასაულებს და ყავიჩს ნუ დააკლებენ.

ლე. ბოლნისის გამოსავლებისათჳს.

ღალა ბატონს ერგება, შვიდი პატრონს, და მერვედი ბატონს; რაც გამოვა, სოფელს კუნა აქეს, ერთი სამესრეო რასაც მოხნავს; უნდა მოიმკონ და მოზიდონ, გალეწონ და ქალაქს ჩამოიტანონ. ზოგჯერ ბევრი მოვა და ზოგჯერ ცოტა. ზვარს რაც მუშაობა და სარი მოუნდება, უნდა იმუშაონ; ორმოცდა ათი საპალნე ტკბილი კოდორზედ აიტანონ. კულუხი რასაც ბატონი შეაგდებს, მოსავალზედ ჰკიდია; რაც კულუხი და ან ზვრის ტკბილი დარჩება, ზოგს ბატონი ჩამოატანინებს და ზოგი სოფელმა უნდა ჩამოიტანოს ქალაქს. საალ-

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени

დგომი ზროხა ერთი, ცხუარი ცამი, ქათამი თუთხმეტი; ასრევე საშობარო სძეს; მალი სძეთ, თავზედ ხუთი აბაზი, და ორი შაური მოხულეებისა არის. ამაზედ რომელსაც ცოლი ჰყავს, ნახირის თავი კარი ერთი პირის — თავი და საბალახე მართებული, სამეჯინიბო ბატკანი; ბაზიერს წელიწადში კომლზედ ერთი ქათამი; აჯილდის ქერი კოდი ორმოცდა ათი, გაცემულზედ კოდის პური, ქათამი თუ აბარია ორ, სარგებელი წელიწადში სი საშობაო სააღდგომო ლ, ბატონი რომ აიყრება ათი ცხენი ან იმისი ქარა უნდა მოართვან. — მოურავისა სძეს კომლზედ კოდი პური ორი, ტკბილი დიდი კოკა ა. მოყალნეს გუთანი თითოს დღეს უხნავს და უფარცხავს, მოურწყევენ მოუმკიან გალეწენ, შემოუზიდვენ; ორს კომლზედ ერთი ულაყი სძესთ ქალაქამდინ, კომლზედ ორი კვერცხი, ყაჭი, პატრონის მოსავლის ათის-თავი მართებული, თავის-გასამტეხლო ძროხა, აგრევე გასამყრელო. სოფლის გაცმან რომ ქურივი წაიყვანოს, ხარი არა სძეს, და თუ გარეშემომ წაიყვანოს, კარი სძეს; რაც მამული გაისყიდვის თუმანზედ ათი შაური, ბევრის ცხუარის პატრონს ბატკანი, ცოტას თიკანი; გასამართავი კარ მარჩილი, სამასპინძლო სამს კომლზედ თოხლი ა, ბურვაკი ა; კომლზედ ქათამი, კომლზედ ნახევარ-კოდი ფქვილი, ნახევარ-კოდი ქერი, ოროლი ჩაფი ტკბილი, ამას თუ უნდა წაიღებს, თუ უნდა იქ დახარჯავს, მალზედ თავზედ შვიდ ფულ-ნახევარი. — ნაცუალის სარგო: თავის ბატონის ათის-თავი, კომლზედ ერთი ჩაფი ტკბილი, გასამყრელოდ მარჩილი, საჩუქმე აბასი. მამულის გასყიდვაში თუმანზედ აბასი და ერთი შაური, კომლზედ თითო ძღუენი და თითო სათარი შეშა. — მამასახლისისა: კომლზედ ტკბილი ჩაფი ორი, კომლზედ მუშა ორი, ქალის ქორწილზედ აბასი ერთი, გასამყრელოდ მარჩილი ერთი; მამული რომ გაისყიდოს, თუმანზედ შაური ხუთი. — მემალისა: თავზედ შვიდ ფულ ნახევარი, ერთი ძღვენი, ერთი ლიტრა ქერი თავისის ღვინითა. — კასადრის სარგო: ბატონის სამესრეოსი და ლალის ათის-თავის

ნახევარი. კომლზედ ლალის გამომღებს სამ-სამი ლიტრა ქერი, მალის გამომღებსზედ თავზედ შვიდ ფულ-ნახევარი და ძღვენი. ლალის ხასა-დარი, მამასახლისი და ნაცვალი ერთად სჭამენ.

ლვ. ბაზიერთ-ხუცისა და ყარაის მეყორუღისათჳს.

ყარაიაში რაც მოვა, იმისი ნახევარი, და შაჴარდენს რომ ბატონი აძლევინებს, იმისი ათის-თავი, ხაიასაულთ ნახევარი, ვინც წავა, იმისა, და ნახევარი ბაზიერთ-ხუცისა და ბაზიერებისა. რამდენიც ბაზიერი ისპაანს წავა, იმდენი მარჩილი ბაზიერთხუცისა არის, და ნახევარი შიგა-მდეგისა და ბაზიერებისა.

ლზ. გავაზის ბაზიერისათჳს.

არეშის შვილი დუშია,	მისი განაყოფი საქია.	დომქლა.
არეშის შვილი კსტატე.	მისი განაყოფი ნასყიდა.	ალნიას შვილი შერმაზანა.
არეშის შვილი შამშია.	არეშის შვილი დათუნა.	ალნიას შვილი ფარემუზა.
ხალომასანა.	ოზ-ბეშისშვილი ოთარა.	გიორგისშვილი იოსებ.

ლჵ. გორის გამოსალებისა და რიგის დებულებისათჳს.

გორის გამოსალები და რიგის დებულება ასრე არის: ლაშქრობა აქეს, როდესაც ბატონს ეჭირების და უბრძანებს, თორემ ისრე მაგ გვარს გადგომაზე არ დაეძახების. ამათვე აქეს მალი, თავზედ ასალნაქორწილევზედ სამი აბასი; ერთს წელიწადს უკან თავზედ მუდამ ექვსი აბაზი ეთხოვების, სანამდის მამას შვილი დაუქორწილდებოდეს და როდესაც შვილი დაუქორწილდების და მალს ძლევას დაიწყებს, მა-

მას აღარ ეთხოვებს: ამ ქეშის აბაზისა ხუთი აბაზი მატრონისა არის, ორი შაური ამილახორისა, და ორის შაურისაგან ნახევარი სახლთუხუცისა და მდივნებისა, და ნახევარი მამასახლისისა არის.

გორის ყასაბხანა ასრე არის, რაც გაისყიდვის: ცხენზედ აბაზი, ძროხაზედ ორი შაური, ცხვარზედ ერთი შაური აიღების, — ხან ორი თუმანი, და ხან სამი თუმანი. ამისი ათის-თავი ამილახორისა არის. სხუას კაცს ჴელი არა აქვს, სხუას მოხელეს.

ამავ გორის ხმალი: რომელსაც ჴელმწიფის ფეშქაში წავა, მაშინ უნდა გამოიღონ გაცემული გაუცემელმან თუმანი თორმეტი.

ამათგან თუ ბატონმა უბრძანა შეისყვანი კიდზედ, სასაკლაოზედ, ზვარში, ბაღში, კოხზედ თუ რაზედაც უბრძანონ, შაისყვანის უარს ვერ იტყვიან გაცემულ-გაუცემელნი.

გორის ბაჟი არის: თავრეზის საპალნე რომ მოიტანონ მძიმე ფარჩა თუ მსუბუქი გაუხსნელად, თუ იმაზედ გამოერთმევის საპალნეზედ მინალთუნი სამი, ურდუბადის საპალნეზედ მინალთუნი ორი, ქნდროზედ აბაზი, შარილის საპალნეზედ ორი ბისტი, ბრინჯზედ ხუთი შაური; თევზზედ, კიზილალაზედ, ქოხზედ, ერბოზედ, მატყლზედ, დაზლაზედ, ბადანზედ — თითო აბაზი გამოერთმევის. ამისი მესამედი სვეტის-ცხოვლისა არის შეწირული, კათოლიკოსი წაიღებს, და ორი წილი სამეფოა ქალაქს გაცილებულს გაღმით, თუ გამოღმით მთაზედ, თუ სადაც საპალნეს გაატარებენ ამას. გორის მებაჟე არ დაიკლებს.

გორიდამ ამილახორის ჯარიმა საკომლო თავის გასამტეხლოან სხუა რაც დებულება არის, იმისი, გარიგების წიგნში სწერია.

გორიდამ სამდივნებო და სასახსულო რიგორც ერგების; მდივნების გარიგების წიგნში სწერია, ისრე იქნას. გორის მამასახლისის სარგო, გორის ნაცვლის სარგო, გორის რიგი, ნაჯეროვზე ჯვარს სამი დღე ბაჟი ამილახორისა და მამასახლისისა არის; მამასახლისის მალში ერთი შაური, პირველი მალი თევზის საპალნეზედ ერთი შაური. ხა-

ცუალს ამილახორის ათის-თავი, აჭუსა სხუა აზნაურნი. გორს უნდა კნან ბატონისათვის: სვენითმა, ბერბუკმა, თორტიზამ, მეკვრამ — თითო კუთანი-მა ორი დღე უნდა კნან დასვარცხონ; მომკით და ვალეწვით. სხუათა უნდა მომკონ და გალეწონ.

ლთ. გერაჭ იარაღისათჳს

წელიწადში ერთი კელი თავისი საჯადრისა ტანის-სამოსი თავით ფეხამდი, ცამეტის მინალთუნისა, ან მეტ-ნაკლები, რასაც დახარჯავს; თუმანზედ ათი შაური, და ნიმი თომარისა, ხუთი შაური გერაჭ იარა-ღისათჳს, ორი შაური ნაზირისა, ორი შაური მოლარეთუხუცისა, ერთი შაური მუშრიბისა არის.

მ. გატეხილის კიდის რიგისათჳს.

ათი სქეს იქივ ქარვასლის წმედა და სტუმრის დგომა, ამისის მოურავის სარგო.

მა. კვნისა და სამეხრეოს-ჯარიგებისათჳს

დიდმელთ ხუნა რომ აქუსთ, ბაგეში კნანს იმათვე მოიმუშაონ. ამას გარდა ერთი სამეხრეოს, გორს ერთი, კავთის-ხევს ერთი; ორ-თავ სამეფოს ქილოებზედ ორი; დურნუკს ორი, ქლესიას ერთი, ავლაბარში ერთი; ქვემო ბოლნისს; ეს დიდმელთ გარდაის შექნა ცხრა; ამათი კასადარი მისას წესით და რიგით მოიქცენ, ნურას წა-

ახდენენ; მოჰკლულნი მისს დროს მისს მუშას და წესს გაურიგებდენ, რაც ღუთით მოვიდეს ენკენისთჳს გასულამდის, ჩვენის ჴარის მოკლულთ ანგარიშთ მისცემდენ.

ამ გუთნების მოკელეებმა ეს ქნან: თუ ავად გაუხდეს ჴარი, რომე ალარ დარჩებოდეს, მამასახლისს სოფლის კაცთ აჩვენოს, თუ ქარხანაში ველარ ჩამოაწევდეს დაკლან, და ტყავი რუმბათ გასადონ, ჴორცი მეხრემ თავთავისთჳს შეინახონ და გუთანზედ დასარჯონ; თუ ქარხანაში ჩამოაწევდეს, ნაზირთან მოიყვანონ; თუ არ დარჩებოდეს, ქარხანაში დახარჯონ; თუ დარჩებოდეს, თრიალეთზედ გაგზავნონ, გაასუქონ და მისს დროს ტყავი რუმბად გახადონ და ჴორცი მაშხათ მოისმარონ.

მზ. გზების შენახჳსათჳს.

უნდა უთაონ, რეკის შვილებმა, წრუელთ, ნახშირის-გორელთ, კვესელთ და შავ-წყლის გზა უნდა შეინახონ.

უნდა უთაონ თულაშვილებმა, თაკველთ, ღვევეელთ, დრელთ, კანათელთ და თულაანთ მამულმან ფანჯრების გზა შეინახონ.

უნდა უთაონ საგინას შვილებმა თაკეთის მამულითა, კოშკის გზა შეინახონ.

ხაკაძემ, გლურჯიძემ და ატენელთ და იმ კოობამ—ბათლომას გზა.

საჯავახიანომ მელესის და თავიანთ გზა.

თარხნის მამულმა, ოძელთ, ცხილერთ—გოსთიბის გზა.

ჭავთის-კევმა, წინარეხმა და საქფათა-კევომა—თავეთი გზა.

ნიჩბელთ—თავეთი მთა; ციხე-დიდელთ, მეგველთ—თავეთი მთა; ზუმბულიძეებმა—ჴარსანი და კიდი; მუსათ-გვერდელთ, ნაქულბაქეველთ და დიღმელთ—ვიწროები, მუხათ-გვერდის გზა; გაბაანთა და თურქისტანიანთა სათოვლისა და ნახშირ-გორის გზა; დოველთ და ქფახრელთ—კიდი.

მგ. გუთნის ხჳნისა, მკისა და ლეწვის კარჯისათჳს:

გუთანმა უნდა მოჰხნას ერთმა—დღიური ორმოცდაათი. დღიურში დაითესების ორ-კოდ-ნახევარი, იქნების ერთ-პირად ამისი თესლი კოდი ას ოცდა ხუთი; უნდა მოვიდეს კოდზედ ურემი: იქნების ას ოცდა ხუთი ურემი, ურემს უნდა გამოვიდეს რვა; იქნების ერთ-პირ კოდი ათასი. ეს ათასი კოდი პური და ქერი ორმოცდა ათის დღისა ნახნავზედ უნდა ამ წესით მოვიდეს.

მდ. დუქნისათჳს:

დუქნის თავს თუეში ერთხელ თჳთო მაური საბატონოდ ქალაქში მოგროვდების. ეს მაური წლამდის თორმეტს თუმნამდის მიაწევს რომ დაგროვდების. უწინ სტუმრისათჳს ყოფილა, რომე სტუმარზედ თურმე დახარჯულდნენ, ახლა სტუმრის კარჯი ბატონისა არის, და ეს თეთრი ბატონის წინ სანთლისათჳს მესანთლეს თავისად ეძლევის.

მე. დიდ-ბადისათჳს:

დიდ-ბადე თრიალეთზედ ვისაც ჰქონდეს, ან საბატონო, ან კათალიკოზისა, ან საბატონის შვილთ, გარდასაზან შეამკანაგდენ; სანამდის ტბის ყურში ისაქმოს, იქიურს თევზს სანამდის ფარავანმა ისაქმოს; იქიურს თევზს კარაში ერთს საპალნეს ლარამე ნუ დაუკლებს. მებადური ჩვენს სახასოში თუ არ იყოს, ჯამაგირით დაიჭიროს, და ლარამე უთაოს. იმის დროს ულაყი თრიალეთიდამ რიგით გაურიგოს. ლარამე აღარ დაგვიყურნებია; ნაზირმა ქარხნის იასაული მაისსა და თიბათვეს თითო თვითო უჩინოს, და იმან გაგზავნოს; უიმისოდ წალკელს ებაროს.

მვ. დაკლულის ცხენისათჳს.

ცხენი რომ დაიკლვოდეს თუმნად გასყიდის მზარეულს. გულ-ღვიძლი, მუცლეული თირკმელი, აუშტარს, თავები, მათირებს, ტყავ-ფეხ და ფილტვი მესაკლავეს.

ერთი მრთელი ცხენი ექუსი ფარჩა არის: ორი ფარჩა—ორი მკარი, გვერდები ორი ფარჩა—ორი ბარკლები; ერთი ფარჩად—ზურგის ძუალი, ერთ ფარჩად—მკერდ-კისერი.

მზ. დავთარხანის იასაულებისათჳს.

დავთარხანის იასაულისა და ყაფიჩის სარგო ასე გვიბრძანებია: რომელიც ქარხნის ნაზირის ასნათი, ან თავლიდარი, ან ცასადარი, ან მეშარე, ან მეზერე, ან მეხრე; მეღალე, ამბარდარი, მეჯინი, ხაზაზი, მზარეული, თუ მეშარბათე, რაც მისი ქარხნის კაცი დანაშაულზედ დაიჭირებოდეს—თუ ბატონი დასჯარიმებდეს, და ან სახასოს სოფელს დასჯარიმევდეს,—ამაების იასაულობა იმათი არის, ვერავინ შეეცილების. და თუ ეს ნაზირის საკელო კაცი ან მოკლან, ან დაჭრან, ამაზედაც ისინი დადგებოდნენ საყაფიჩოს და საიასაულოს და სამდივნეგოს და ყაუშიყარას-ბაშოს სახლთხუცოს კი მოუტანდნენ. სხუა რიგად ხასპინძლობაზედ, ალამათზედ, შემაზედ, ძღვენზედ რომ მოსაგროვებლად წავიდოდნენ, იმის ათისათავთან ქულდ არა აქუს; უფლებლად სალთხუცესს და მდივნებს უნდა მოუტანდნენ. თავეთი ფუ-ლული თუმანზედ თითო აბაზი უნდა გამოართუან.

მთ. დაბალ-ხანის იჯარისათჳს.

დაბალ-ხანის იჯარა, ხან ოცდა რვა თუმნად, ხან მეტ-ნაკლებად

იქმნების ამ წესით: ამისი იჯარადარი ძროხის ტყავზედ ორს შაურს, ქოსალაზედ შაურს, თიმქნეზედ, მეშზედ, თხის-ტყავზედ თვითო ფულს აიღებს. ამას რუსუმი არა აქვს.

მთ. დაბნეულის ელისათჳს.

ოთარ-მდივნის თაბუნმა, მეითრის თაბუნმა, ბეჟან მაწმასმჳლის თაბუნმა, ამათ უნდა გამოიღონ კომლზედ მასტა სუთი აბასი, ქოდავე ერთი შაური, სანავროუზო ოდენ ალჩა სამასპინძლო და ეთაზი, ეს ელი ასლა კალიდას მიებარების.

ნ. დურნუკის საბატონოს გამოსაღებისათჳს.

დალა შვიდზედ ა; კუდუსი ხუთზედ ა; საშობაო ცხუარი ე; ქათამი კე; სააღდგომო ცხუარი ე; ფურზედ ჭრბლი ერთი ჩარექი, ბერწზედ ნახევარ-ჩარექი, ბაზიერის გვლით დგომა, გოჯრის ტკბილის ჭლაყი ი. რამდენი გუთანი არის — ხვნა, მისი მკმკა, მოტანა, გალეწვა, ქალაქს ჩამოტანა, ორის სამესხროს შენახვა, მისის ნახნავის გალეწვა და ჩამოტანა, ცხენის და ჯორის საბალახე, პირის-თავი, ნახირის-თავი, ხაური, საქური, კარი; ქათამი თუ აბარის მე, მისი ნამენი წელიწადში ორჯე, საშობაო, სააღდგომო ლიფოსტონი რომ აიყრება — ცხენი ექვსი, ან იმისი ქირა.

ნა. დურნუკის მოურავისათჳს.

საშობაოთ კომლზედ ორი შაური, სააღდგომო ერთი შაური, საკომლოზედ პური ერთი კოდი, საჩექმე სამი აბაზი ნაცულით გასამ-ურული კარი, თავის-გასამტეხლო კარი, რამდენიც გუთანია ერთს დღეს უხნან და უფა ფცხონ, მოუთიბონ, გაულეწონ, მოუტანონ. საკომ-

ლოზედ წელიწადში ქალაქამდის ორი ულაყი მამასახლისისა, როგორც ეკკლესიისა, არის; ნაცჳლისა აგრეთვე ხასადრისა აგრეთვე.

ნბ. დიღმის საბატონოს გამოსავლებისათჳს.

დიღმის გამოსავლები საბატონო არის: სახასო გლეხი კომლი რვ; ამათ აქვს მალი თავზედ მაური ოცდა ორი. ამისგან ხუთი აბაზი ბატონისა არის, მაურ-ნახევარი მოურავისა და მემალისა, ნახევარ მაური სალხუცისა და მდივნებისა. ღალა სარწყავზედ ხუთზედ ერთი ბატონს; ურწყავზედ შვიდზედ ერთი. კულუხი შეწერით არის; მამულზედ ჰკიდია, დიდს დიდობით და ცოტას ცოტაობით შეაწერენ. საშობაო ცხვარი იჱ; სააღდგომო ცხვარი იჱ. ბატონის ზვრის მუშაობა ყოვლის-ფრით იმათ უნდა შეიმუშაონ. ყარაიაზედ პირველზედ კონის ჩადგმა, რამდენიც გუთანი გამოვა, სამს დღეს ყარაიაზედ კუნა, მო-სჳ მომკა, შეტანა და გალეწვა; ბატონის აყრაზედ ცხენისა და ურმის თხოვება, ბატონის წიგნით სტუმრისა და მდგმურის დაყენება; ბატონის მიბრძანებაზედ შეძლებით სამასპინძლო; საბაზიერო ქათამი, კომლზედ თჳთო ქათმის ბარება, თავილის ქეშიკობა, კოყორზედ მეჯინიბის ბატკანი, სამკურთლით საბალახე ცხვრისა და ღორის პირის-თავი, შიშლიგი ორასზედ ერთი ცხვარი. წიგნიცა აქჳსთ, ნახირის თავი, ქალაქს სასახლის მუშაობა, მცხეთას მისვლაზედ ზამბახური; ქვის ზიდვა, ყარაიის ჯელგა, ბარგის ჩატანა, საური იდ მაური; ბოგანოს საური ორი მაური; მსახური და თარხანი ვინც არის, მალისა, ღალისა და კულუხის მეტი სითარხნე არა აქჳს; სხჳას ყველას აჰრევინებენ მეზობლები. დიღომს აზარია ქათამი რნ; ამისი ნაშენი იქმნება წელიწადში უნ; დიღმის მოურავის საურგო კომლზედ სატაროულო მაურ-ნახევარი ვ, მებალახობა, კევის-თაობა, თავის-გასამტეხლო კარი ერთი, გასამყრელო კარი ერთი, რიგის პური მართებულად, ვისაც ბევ-

რი ცხუარი ჰყავს—ბატკანი, ვისაც ცოტა ჰყავს—თიკანი; კიდევ ვისაც ნაკლები ჰყავს, იმაზედ შაური; ძაღლზედ თავზედ ნახევარ შაური. დიღმის ხასადრისა ძაღზედ თავზედ შაური ა; მოყალნეზედ კოკა ა, მაღის ძღვენი, ზურის ათის-თავში, ღალის ათის-თავში; დიღმის მასამასახლისისა კომლზედ ქოკა ტკბილი ა; მოყალნემ რომ ქორწილი ქმნას—სუთი შაური; დიღმის ნაცულისა, დიღმის ზურის მუშას პური კოდი იდ; ღვინო კოკა კ მეზურეებს პური კოდი კდ; საბურთალის ზურებს პური კოდი ლვ; სხუა ჯერ არ დაკლებულა.

ნგ. ერბოს გარიგებისათჳს.

თრიალეთზედ ყაიყულის, და ტაშირზედ ჩუჩხის ერბოს მკრეფელნი კარგის ერბოსაგან ჩამოიტანდნენ. თუ გლეხმა ავი ერბო მოიტანოს, აუშტარი ნუ დაუჭერს; თუ იასაულს ქმნას და გამოუცხალოს იმას გარდაჰკდეს; თუ აუშტარს გამოეცვალოს და ავი ერბო ჯამაზედ მოვიდეს, იმ დღეს ერბოსა და ბრინჯს ავად დარჩეულის კარჯს აუშტარს ნუ ჩაუგდებენ.

ნდ. ელის დავთრის შარისათჳს.

თუ რამდენი ოიმასი არის, ან რამდენი კომლი მდივანბეგმა რომ აღსწერა:

იყო დემურჩი ასანლუ, უზბაშის თაბუნი, დათუღილი იყო კომლი ტოვ. ამისგან გამოვედით აღსაყალუს მოლას და გზირს კომლი ლ. კიდევ გამოვედით ფახრო-ფუსარას ასზედ კ ალაგს დარჩა გამომლები კარჯისა სო. ყარაჯალუ ქმინას თაბუნი იყო კომლი უდ გამოვედით აღსაყალუს მოლას და გზირს თ; კიდევ თასირს იზ. დარჩა გამომლები ჲც.

ჩიალუ მერაბას თაბუნი კომლი ჳტ ამისგან გამოვედით მოლას, ალსაყულის გზირს დ, ფასირს იზ, დარჩა ნა. ეს კი დემურჩი ასანლუ მარათვადინას თაბუნი კომლი რთ; ამისი მოლა ალსაყალუ გზირი ით; ფაღირი დარჩა ოზ.

ამირ ახვდლუ ფირ-მაჭმადას თაბუნი კომლი პ. ამისი მოლა ალსაყალუ გზირი იდ. დარჩა კომლი ნგ.

აფან ჩიფათის თაბუნი კომლი ჲტ; ამისგან გამოვედით ალსაყალის თარხანს მოლას და გზირს კა; ფაღირს ი; დარჩა ლზ. კიდევ ამავ ფათის თაბუნი ზარგრები კომლი ტ. ამისგან გამოვედით ა. დარჩა ზ. ერთ პირად ორისავ დანარჩომში ჯამი მდ.

ქაოვანჩი აჯი ალის თაბუნი, რომ იყო კდ, ალსაყალუ ა; გზირი ა; დარჩა იბ.

ქაოვანჩი ჯაფარს თაბუნი კომლი მდ; ამისგან ალალარი, მოლა და გზირი თ, ფაღირი ზ, ალაგს დარჩა კომლი კ.

ხარუ ხაპუნჩი მუსტოფასი თაბუნი კომლი ყგ; ამისგან გამოვედით ალსაყალუს მოლას და გზირს იგ; ფაღირს ივ, დარჩა კომლი პდ.

აჯი მამადას ქაოვანჩი, ოთარ მეივნის თაბუნი იტ.

მასხუდლუ ოთარ-მეივნის თაბუნით თ.

ქეშალუ ყოჯას თაბუნი კომლი კა, ალალარი და მოლა ე. ფაღირი გ, დარჩა იგ. ამისი კდ, თარხანი მოლა გზირი გ, ფაღირი გ. დარჩა იე, მასტა.

ყაზაკი ისმეილას თაბუნი კომლი კე, ალალარი და მოლა დ; დარჩა იზ. ამისი კზ სალაპარაკო.

ნაზარლუ უსეინას თაბუნი კომლი ლბ, ალსაყალი და მოლა ვ, ფაღირი ე, დარჩა კა. ასლა დადგა მვ. — გამოვედით იგ, დარჩა გამომდები ლგ.

ყამარლუ კომლი ი, ამისა აღსაჭუალი ა, ფეჯვირი გ, დარჩა კომლი ზ. ამისს ქ გამოკვედით, ფალირს დარჩა და მდივანბეგს აბარია.

გოგჯა ოთარ მდივნის თაბუნი ქოსალუ ვ, ამილ სასარლუ მოლა აბდულას შვილის და; ყადიმულას თაბუნი კომლი ჟჱ. ამისი აღსაყალუ მოლა თარხანი და გზირი იჱ, ფალირი ივ. დარჩა კომლი ჲდ.

სარვნები კომლი მგ, ამისი აღსაყალი და მოლა ზ, ფალირი ზ, დარჩა კთ.

ხრვანი ნვ. საკანალუ კომლი იჱ; ამისი აღსაყალუ და მოლა დ, ფალირი ბ. დარჩა კომლი იბ.

ჭალავარი კომლი ოდ; ამისი აღსაყალუ მოლა და გზირი ზ, ფალირი ივ. დარჩა იდ. ამისი ობ. გზირი თარხანი მოლა ზ, მასტა გ, ფალირი იბ.

ქალაგირი კომლი კჱ, ამისი აღსაყალი და მოლა გ, ფალირი ქ, დარჩა კომლი ჯ. ამისი კდ, მოლა გზირი ჳ, ფალირი დ, მასტა ა, დარჩა თარხანი ივ. ნასიბლუ ბაზიერები კომლი ივ. კიდევ ნასიბლუ ბაზიერს გარდა კომლი მგ; ამისი აღსაჭუალი და მოლა ე, ფალირი ზ, დარჩა კომლი ლა, ამისი კზ, მოლა თარხანი, გზირი დ, ფალირი დ, დარჩა ით. დურლა ამირ ჭახანი კომლი ჲზ, აღალარი და მოლა გზირით ჱ, ფალირი იბ; დარჩა კომლი მზ; ამისი ჲე. მოლა გზირი თარხანი ჱ, ფალირი ია; დარჩა მვ. თარხანი ჯავანშირი კომლი ჟ. აღსაყალი მოლა გზირი ზ, ფალირი ივ. დარჩა კომლი ჲზ. იმირხანი ფალაქათს თაბუნი კომლი ნ, ამისი გზირი მოლა აღსაჭუალი ვ, ფალირი ჱ დარჩა კომლი ლვ. ეს აბარია ალა იალა ოღლი უსეინასა. ამისი სბ, თარხანი, მოლა გზირი ვ, ფალირი თ, დარჩა ლდ, მასტა გ. კიდევ ფალაქარს თაბუნი მალაიასთან კომლი ივ; ამისი ფალირი დ. დარჩა კომლი იბ. მუღალუ სეიდ ყასუმა ალი აღას თაბუნი კომლი ნზ. აღსაყალი გზირი მოლით ია, ფალირი თ, დარჩა კომლი ლზ. ამისი ლბ, თარხანი და მოლა ჭ, ფასირი მვ. თარხანი რიე.

ამას გარდა ნაჯიბადინი კომლი რვ; ამისგან ლანჩპარი ქ, ასლანის ნუსხაში სწერია დ, დარჩა კომლი გ;—თარხანი.

ქალაქლარი კომლი იბ, ლანჩპარი თ, მოლა ა, დარჩა ბ, თარხანი. ჩალაბლი კომლი ჟდ, ამისი ლანჩპარი ჩალთუკისა ო, აბრუშუმის ლანჩპარი იბ, მოლა და გზირი და ბრმები ქ, დარჩა ზ.

არა დემურჩი მოლა ხანველის თაბუნი, კომლი კა, ამისი მოლა ალსაჭყალი ბ, ფალირი დ, დარჩა კომლი იე.

ჯამი თათრისა ჩ ჟ გ.—

ნე ელის-კაცნი თარხანნი, რომე ბატონი უნდა მოშლის, უნდა ათარხნებს.

მოლა ბაბა ოღლი აბულ-ყასუმასი. ჯ.
ქემალუ ყოჯასი. . . . . ა).
ნური ალასი. . . . ა)ჯ.
ალავერდა გულოღლისა. . . ა)ჯ.
მირზა ოღლი მუსტოფასი. . ა)ჯ.
შარაფადინასი. . . . . ა)ჯ.
ველიხან ოღლის ველიასი. . ა).
ამირ აჭმადლუ მოლა ფირმაჭმადასი. . . . . . ცფ.
არუსლუ ასვერდისა. . . ბ).
ამირ აჭმადლუ მოლა ისმაილასი. ცფ.
უზბაშისა. . . . . ა)ჯ.
ჯავანშირი შათირი მაჭმადასი. ჯ.
მოლა აბდულას შვილი მამადასი. . . . . ა)ცფ.
ფირ მაჭმადასი. . . . . ა)ჯ.
მულანლუ ალი ოღლი მაჭმადასი. ჯ.
ქაფანჩი აჯი შეფიასი. . . ბ)ცფ.
ნაბადინლუ მოლა ალიასი. . ჯ.
იბრეიმ კალილ-ოღლისი ბამბიანად. . . . . . ა)ჯ.
ბრმასა. . . . . მ.
გოდაკ ფრისა. . . . . ა).
არუსლუ ხან მამადასი. . . ა)ჯ
ანაყიზოღლი ჭაჯი მუსასი. . ბ).
დემურჩი ჭასანლუ მოლა მაჭმადასი. . . . . ჯ.
დერმი ოღლი კალილასი. . . გ).
დემურჩი მოლა აბდულ ყასუმასი. . . . . ბ)ჯ.
ფარეში შაველისი. . . . . ა).
ჯავანშირი შათირი იბრეიმასი. ჯ.
იოლჩი ოღლის ჭასანასი. .. ა)ჯ.
შამანათ ოღლი ასვერდისა. ა).
ზარგარი მამადასი, გ. თვისა—ცფ.
ხარუ ხაპუნჩი ყუჯურ-ოღლისა. ა).
იაშილ ბოშ-ოღლი აჭმადასი. ცფ.

ამისი ჯამი ლფ)ჯ.

ნგ. ეკლესიის გამოსაღებისათჳს.

ეკლესიის გამოსაღები საპატრონო, საშობაო და სააღდგომო ძღუე-ნი: ცხური რქა, ქათამი თუთხმეტი. პატრონი რომ აიყრება, ექვსი ცხენი, ან მისი ქირა უნდა გამოიღოს.

ნახირის-თავი სძეს დიდს სოფელს კარი; შუათანას—ზროხა; პატარას გამოზამთრული; იმის დაბალს ცხვარი; თუ ერთი კომლია, ორი შაური. ერთი წელიწადი უნდა, შუაზედ გამოვიდეს; და მესამეს წელიწადზედ აიღონ.

რიტ. სალაროს ნაზირის სარგოსათჳს.

მისი სარგო უწინ ყოფილა ჯამაგირი თუმანი ოცი. ის ამოუკვეთიათ, ახლა ეძლევის ჯამაგირი თუმანი სამი, დანიმზედ თუმანზედ შაური, ორი ნავროზანა. იჯარის თავს თითო ფლური; დიდ ბაჟზედ რაც შეუძლია ფეშქაში. რაც ქლიდამ სანავროზო ფლური მოვა, შომტანისაგან ფლურზედ ორი შაური. ქლიადასი ვინც დაჯდების—თორმეტი მინალთუნი.

რით. ქარხნის ნაზირის სარგოსათჳს.

წელიწადში ჯამაგირი რიბ; პური დღიური წმინდა ორი; ატუნური ღვინო როდესაც ქარხანაში იყოს ლიტრა ა; საჯელგო ღვინო ლიტრა ა; კჳრაში ცხვარი ა; ბატონის საჭმლიდამ ბოშყაბი ა; წელიწადში ჯოგიდამ კჳცი ა, მუქამალი ცხენის იარაღი ა; ნახევარი საბარათასშვილოს კოდის პურის მკრეფლობა.

რკ. ნავტიკისათჳს.

ნავტიკისა ასრე არის: ნაზირმან თჳთოს კჳრას ქარხნის იასაული რიგისად გაატანოს, რაც დაიჭირონ, მოიტანონ. თუ მარხჳა იქნებოდეს, კმელად და მჟავედ შეინახვედენ. აგრეთვე დიდს ბადეს მისს დროს უურეს ანადირებდენ; ისდომ: ინადიროს, და ნაზირმა იასაული გაატანოს.

რკა. ნაღარახანის მოხელეთათჳს.

დაგვიყენებია მექანარე არუთინა.	მექანარე მოსესა.	შაგირდი გიორგი.
ფოლადას შვილი ოსიანა.	მექანარე ივანე.	მენაღარე ზალინა.
მისი შვილი ფოლადა.	მექანარე პაპა.	მენაღარე ივასუა.
მექანარე პაპა.	მენაფირე ოჭანა.	ახვერდა ერთი.
მექანარე როსტომა.	მენაფირე ნაზარა.	მენაღარე შეგირდი ოთხი.
მექანარე ალიყულა.	მენაფირე გასპარა.	მეზინჯე გოგინა.
	მეზურნე ჭასანა.	მეზინჯე არუთინა.
	მეზურნე ბუყინა.	

რკბ. მოდუნასხჩისათჳს.

მოდუნასხჩა, რაც დავთარში გლეხი ჩავარდების გამომჟღებლად, იმან კომლზედ თჳთო აბასი უნდა გამოიღოს. ამისი ათის-თავი სალთხუცისა და მდივნებისა არის.

რკგ. ორაგულის ჯუფთისა და სხჳათათჳს.

ორაგულის ჯუფთს და მჟავეს შეინახვედენ; ზუთხისა და სხჳა თევზის მჟავესაც შეინახვედენ, და თუშმალს მიაბარებდნენ.

რკდ. თევზის ჩაჩხისათჳს.

თევზის ჩაჩხსაც ის შეინახვედეს გაპოკტისას, თუ სხჳსას; რომელთაც ორაგულის ჯუფთი ებაროსთ.

რკე. პირის-თავისათჳს.

აგრევე პირის-თავზედ იქნებოდეს. ყოველს მკარეს მობა-ღასეცა და მოპირის-თავეც დავთარს დაიჭერდეს, რასაც კომლს რამდენი ბატკნიანი და რამდენი მშრალი, ან თხა ეყოლებოდეს, დასწერდეს; და რასაც აიღებდეს, იმასაც დასწერდეს. ნაკირის-თავის მკრეფველი რომ წავიდოდეს, სად როგორ რჩომა ეწეროს, ისე იმ გჳარად აიღოს.

რკვ. პირის-თავის აღებისათჳს.

პირის-თავი ასზედ ერთი საბატონოდ აიღებს. რაც ამისი ათის-თავი დადგება, სამი წილი მეპირის-თავისა, მეოთხედი სალთხუცი-სა და მდივნებისა არის.

რკზ. ურბნისის რუს მუშისათჳს.

ურბნისის რუ საქაშეთამდი შინდელთ გამოიღონ, იქიდამ სა-ქაშნელთ და თჳალათ-უბნელთ შარშაბის საყდრამდის; იმას აქეთ გარიანელთ, სასირელთ და არაშენდელთ რუისის თავამდინ გამოიღონ; იმას აქეთ გორის გზა რომ მლაშის წყალს შეეყრების იქამდის; იმის აქათ ურბნელთ უნდა გამოიღონ.

რკჱ. ყეენის ფეშქაშისათჳს.

როდესაც ბედნიერის ყეენის ფეშქაში ტყვე წავა,—ასი თუმანი ელმა ბატონს უნდა ფეშქაშის გასაგზავნად უნდა მოართჳან.

რკთ. საზანდრებისათჳს.

საზანდარი ბეჟან.
შომიტას შვილი ბერუა.
ხიზანას შვილი ივანა.
გილაური ასლამაზა.
მამასახლისის შვილი ფასუა.
მაჩუთს ლევანია.
სახუნდრელი თამაზა.
კირაკოზას სოლოვლის მანაზარა.
საზანდარ ბაშიგიორგი.
მისი თაბუნი მირზანას შვილი.
ალელი თამაზ დალალას შვილი.
შერმაზანას შვილი გოგია.

სხუა მოქალაქე საზანდრები ყველა მისი თაბუნი არის.

ბოვნელი ყანდიას შვილი. | ქშიკას შვილი ბაბუა. | ნიკოლოსა.

რლ. საფარეშოს მოხელეთათჳს.

ფარეშთუხუცესი ზაალნიაზა.
ოთარა.
ქმნელი ლაშქარა.
გოჩოლას შვილი ხოსიტა.
ადენას შვილი შერმაზანა.
სამბატელი ფარეში გიორგი.
სარქისას შვილი ბეჟან.
ხარატის შვილი სიხარულა.
ბეჟუბა.
სამშვილდელი გარსევანა.
შანშიას შვილის ძმისწული.
ბერთას შვილი დათუნა.
რუსი ფარეში ორი.
ალელი ფარეში თამაზ.
ნაზარას შვილი ავთანდილა.
იმერელი გოჩა.
ხაროულელი უსეინა.
მისი ძმის წული უსუფა.
მეკარე ბერუას შვილი.
კავთის-ხევს ზურაბას შვილი.
რატის შვილი ლუარსაბ.
თავლიდარი ასლანა.
შიგამდგომელი პეტროზა.
დიღმელი გეგელას შვილი.
მანველას შვილი შავერდა.
როსტიას შვილი იესე.
მემეტრეს შვილი შალიკა.
დათუნას შვილი იესე.
კიდევ იესე.

რლა. საჯაბადროს მოხელეთათჳს.

ჯაბადარი შერმაზანას შვილი.
ელიარას შვილი.
გვრიტას შვილი ფირან.
ასლანას შვილი.
მანაზარა.
აბაზა მამასახლისის შვილი.

რლბ. სარქარ-ბაშისა და სარქრებისათჳს.

სარქარბაში იმამვერდი.
ყორღანას შვილი მანუჩარა

სასახლის თავლიდარი ქელისბარა.
შემაზას შვილი.

იასაული ალავერდი.
გიორგის შვილი დათუნა.

რლგ. სარქარ-ბაშისა და თავლიდრის სარგოსათჳს.

სარქარ-ბაშს ჯამაგირი წელიწადში თუმანი. რაც იმათს კელში დაისარჯვის, თუმანზედ ორი შაური. რაც ბატონის თეთრი დაიხარჯვის სასახლისათჳს, იმისი თუმანზედ ათი შაური. დანიმი აჳს ამისგან ორი შაური მუშრიბს; ერთი კელი ტანისამოსი თავლიდარს.

რლდ. სახაბაზოს მოკელეთათჳს.

მეგოდრეთ-უხუცესი მანშიას შვილი ნასყიდა.

მეგოდრეთ ხუცესი თულას შვილი ზურაბ.

მანდენა შვილი გოდერძი.
შიგამდგომელი ზურაბა.
საბაზი დიდმელი გიგოლას შვილი გიორგი.
ზაზიას შვილი.
მოქალაქე გოჩას შვილი.

იქივ ხოსიტა.
ქიზნელი ადუა.
მანშიას შვილი გიორგი.
ქისგელი ბერუა.
ოთიას შვილი.
თბილას შვილი.
სამესრეოელი ბასტრიმე.

მექვაბის შვილი ბეჟუა
ჯანდიერ.
თრიალეთელი რამაზა.
ოქუზას შვილი.
მარიამული დათუნა.
ანდრათელი ზადა.
მოქალაქე გოგიას შვილი.

რლე. სუფრაქეშთათჳს.

მერთალის შვილი ავთანდილ.
მამუკა შათირი.

მანშიას შვილი გიორგი.
მანშიას შვილი პაპა.

ზავარას შვილი ტარიელ.
საჩინოს შვილი ოთარი.

რლვ. სამზარეულოს მოხელეთათვის.

თუშმალი მანუჩარას შვილი.
საყა წყალის მზიდავი.
თუშმლის შვილი ზალია.
ყასაბი.
მამად შარიფა.
მზარეული დიღმელი ბერუა.
იორ ყულა.
მარიამული პაპუა.
თეთრაძე შავერდა.
ჯიმშიტას შვილი ზურაბა.
კმანელი მახარა.
თავლიდარი გოგია.
მჭედლის შვილი.
მარიამული გოგია.
გრძელას შვილი ბერუა.
მარიამული ლომ კაცი.
კრწანელი მამუკა.
ავლადელი ქამა.
კოყრელი ზურაბა.
ზევაძე გოსტამა.
მუმლია.
ქვემო ბოვნელი ელისბარა.
კრწანელი დათუნა.
ოსტატი ფარადა.
მზარეული ხინიას შვილი.

რლზ. საღვინის მოხელეთათვის.

მეღვინეთხუცესი გაბრიელ.
მეღვინე ყორღანას შვილი ბერუა.
ბაირამას შვილი როსტომ.
დათუნას შვილი შაველა.
შულავრის მამასახლისის შვილი.
გლურჯიძე გლურჯი.
მიგამდეგი ოსიეშეს შვილი.
პაპა.
სოზიას შვილი შიუა.
გურიული პაატა.
ბოვნელი ბეყუა.
გალატოზის შვილი არდაშელ.
თავლიდარი ზავარას შვილი ფარსადან.
სოლიაღას შვილი იოთამ.
ზავარას შვილი ზურაბა.
მირიანას შვილი ალავერდა.
გორელი ესტატე.
დათია.

რლჱ. სატიკის-პიროსათვის.

მეტიკის-პირე თამაზა.
დიღმელი ჩაჩაშვილი რამაზა.
იქივ ზურაბა.
ქიტიაშვილი ბერუა.
ავლაბრელი თამაზა.
გურდღელას შვილი მახარა.
შულავრელი მასურას შვილი.

რლთ. საშარბათოს მოხელეთათჳს.

მეშარბათე თავლიდრად ნაზარა.
იქივ ასლანა.
ხატის ყმა თამაზა.
ემაკას შვილი ვერმიშა.

თათარი რამაზა.
იქივ ბაიას შვილი.
იქივ მამუა.
ქიტესა.

ქვემო ბოვნელი გიუა.
იქივ ალიბეგას შვილი.
აღნიას შვილი თამაზა.
გიორგი.

რმ. სააყშტროსათჳს.

აყშტარი თავლიდარი არუთინა.
თანდილას შვილი ბეჟიტა.
ბოვნელი მარქარა.
ბოვნელი დურია.
მულავრელი ალიხანას შვილი.

თავლიდარი ბაირამა.
მარიამული ბერუა.
ბოვნელი ხუგაზა.
ოლთისელი ამუთარი თამაზა.
ყალთასხჩი შვილი ფიჩალა.

დიღმელი გოდერძი.
ბოვნელი ბეყუა.
ბოვნელი საქუა.
ავლაბრელი ზურაბა.
გრიგოლას შვილი ბეჟან.

რმა. მეთეფშეთათჳს.

მეთეფშეთ თავლიდარი გიორგი.
გზირის შვილი მეთეფშე.

კიდევ გიორგი.
მოქალაქე ხეჩუა.
სამესრეოლელი ქამა.
თეოდორე.

ბოვნელი ხეჩუა.
ეკლესიელი ლევა.
ბერუას შვილი იოანე.

რმბ. ამბარდანთათჳს.

ამბარდანი თუმანა.
დარდარას შვილი დათუნა.

მუჯირი ბოვნელი ასლანა.
მოქალაქე ზურაბა.

იქივ მურადა.
მოქალაქე ნასყიდა.

რმგ. ზინდართათჳს.

ზინდარი თავლიდარი პაპუა.
თულას შვილი ნავროზ.

შიგამდევი გარსევანა.
გორელი ესტატე.

ვახუშტის შვილი დურმიშხან.
კიდევ გორელი დავითა.

რმდ. ჩაჭმლისათჳს.

საჭმელს თუ ოცს ყაზს გააჭყეთებდენ, თუ ორმოცს-სამოცსა, ერთი ყაზი ფარეშებს უნდა მისცენ; და თუ ოცს ნაკლებში გაჰკეთდეს, ყაზს ნუ მისცემენ.

რმე. სახასო პურის მოსავლისათჳს.

ჩუენის სახასო სოფლის კასადრებმან პურისა თუ ქერისა-მან, ყველამ ენკენისთვის გასლვამდინ ანგარიში მოსცენ, რომ შე-ვიტყოთ რა მოსულა, რომ იმისი ფიქრი გვქმნათ; თორემ თუ ამ დროს ანგარიში გასცილდა, კასადრობაც დადჳას და იმ წლის თავის სარგოცა.

რმვ, სადიასახლისოსათჳს.

რაც ჩუენი სადიასახლისო ზროხა მოგროვდეს, რამდენიც დადგეს, როგორც შესჭდეს სოფელსა და სოფელს, თრიალეთზედ მიაბარონ ამ წესით: ფური უკუდავი იყოს; კბო ვისაც ებაროს, ნია-დაგ წელიწადს იმისი იყოს; წელიწადზედ ფურის-თავს სამს ლიტ-რას ერბოს ჩვენს ქარხანაში მოაბარებდენ.

რმზ, სუფრის პურისათჳს.

ბატონის სუფრის-პური ლიტრაზედ ლავაში ორი; მურასა ლიტრაზედ ერთი, საგარეჯო ნახევარ ლიტრისა.—მეჯლისი რომ იყოს, ექჳსს ლავაშს ჩასდებენ; უმეჯლისოდ სამს ლავაშს ჩასდებენ.—მოხე-ლეებს როგორც მისცემოდეს, ისრე იმ გვარად მისცემდენ პურსა, ლიტრაზედ ოთხსა, გამოიყვანონ და წმინდად გაუმტკიცონ.—სამეჯ-ლისო ლავაში ლიტრაზედ ოთხი.—საულუფე ლავაში ლიტრაზედ რვა.—მზადაური ლიტრაზედ ათი.

რმჱ. საურისათჳს.

საურისა ასრე არის: როდესაც ქვეყანაზედ საური მევარდების, მესაურობას ვისაც ბატონი უბრძანებს, იმისი არის; კომლზედ თოთხმეტი შაური გამოერთმევის. ამისგან მარჩილი ბატონისა არის, დარჩების ორი შაური. ამისგან შაურ-ნახევარი მესაურისა ჯრნს და ნახევარ შაური სალთხუცისა და მეფის მდივნებისა არის, შუა უნდა გაიყონ: ორ-ფულ-ნახევარი სალთხუცესსა და ორ-ფულ-ნახევარი მდივნებსა მეფისასა. გასაყოფი ამაში არც დედოფლის სალთხუცესსა და არც მისს მდივნებს ამაში კელი არა აქვსთ. ბოგანოზედ სძეს შაური, კომლზედ ორი შაური, ეს ბატონისა არის. ბოგანოს მდევნი არა სძეს და მთელმან საკომლომ—ასრე არის: დიდს სოფელში ჩადგებოდეს და რაც მაფთებული იყოს, სამასპინძლო მიართვან. და სხუაგან საკომლოზედ თჳთო შაური მიართვან. მესაურებს თითო სალთხუცის კაცი უნდა გაჰყვეს, სალთხუცესს კაცს კელი არა აქვს.

რმთ. საბალახის აღებისათჳს.

საბალახე სძესთ: ასზედ ბატკნიანი ცხუარი სამი; მშრალი ცხუარი ორი; მობალახის შიმდლიგი ა. რაც ბატონის საბალახის ათისთავი დადგების, ამისი მეოთხედი სალთხუცისა და მდივნებისა არის, და დარჩების სამი წილი. ამისგან ორი წილი მებალახესა, და მესამედი სუფრაჯსა.

რნ. სამასპინძლოს შეწერისათჳს.

თუ ბატონი ზემო ქართლში ბრძანდეს, ვინც არ დაჰპატიჟებს და ან სამასპინძლოს არ მიართმევს, მოკელენი სამასპინძლოს შეაწერენ.

რნა. საამილახოროს კოდის-პურისათჳს.

საამილახოროსი არის ბოგანოს გარდაისად თარხანი და გამო-მღემი კომლი ტმთ; ამისი თარხანი რმთ; გამომღები ქათმით სდ; ესენი საბალახის თარხანი არიან. სხუა გამომღები როგორც ზე-ვით სწერია, ისრე ყოველიფერი უნდა გამოიღონ. კოდის-პურის ჩა-მოტანა ზოგს გორს აქუს, ზოგს ქალაქსა.

რნბ. საბარათასშვილოს კოდის პურისათჳს.

საბარათა შვილოს არის საკომლო ში; ყაფლანის შვილის სა-კომლო ტ; აქმნა ჩსი; ამისი თარხანი და აყრილი სლ; გამომღები შპ; აგრეთვე ქათმის სხუა გამოსაღები როგორც სხუა დაგვიწერია, ისრე იმისი რიგი არის; სასახლის მუშაობა, ყარაის ჯერგა. ამას გარდაის ზოგს სოფელს სახასოს სოფლებში კჳნა-მკა და ლეწ-ჳა ჰსძეს, საკომლოზედ ბზე საკედრით.

რნგ. საციციანოს კოდის-პურისათჳს.

საციციანოს გამომღები ქია; ამისი თარხანი ვ; დარჩა ქათ-მით ლკზ; თარხანი რკვ; ბატონის შვილის ყმითა; ამისგან გორს უნდა მოიტანონ საკომლო სმ; ქალაქს უნდა ჩამოიტანონ ქათმით საკომლო ტნი; სხუა გამოსაღები როგორც ზეით სწერია, ისრე აქესთ.

რნდ. სომხითის კოდის-პურისათჳს.

სომხითი საკომლო ფოგ; ამისი თარხანი რიე; გამომღები საკომლო ქათმით უნჵ; ამათ საკომლოზედ და ღორის საბალახე

არა ჭსძესთ. სხუა როგორც საზარეთმსშვილის რიგი არის, ისრე ამათ ჭსძესთ. ჯარიმა და ქვის-თავი ბატონისა არის.

რნე. სომხითის მოურავის სარგო.

სომხითს აქვს ოლქა ტარუღისა სოფელზედ ბატკანი: თავის გასატეხი ზროხა ბატონის კოდის-პურიდამ ერგების. ისრე სხუას მოხელეს გარეთად საკომლო ნ; ბატონისა ოთხას კომლიდა თვრამეტს გარდაის, იმას გამოვსულვართ.

რნვ. სანავროზოსათჳს,

სანავროზო კომლზედ აბაზი არის; რაც გამომღებნი კლეხი დაიწერების, ამისი რუსუმი არავის აქუს, ისინი ხალართს ნაზირს ფლურზედ ორს შაურს მისცემენ.

რნზ. სამს წელიწადში ქლის აღწერისათჳს.

სამს წელიწადში ერთხელ აიწერების. კომლზედ სამი აბაზი ასამწერლო არის და ორი შაური აღამათისა არის, თოთხმეტი შაური ობაზედ, ხუთი აბაზი სამემანდრო არის. ესენი ყველა ამწერისა არის. რომელსაც მოლას ბატონის წიგნი აქუს, არ ეთხოვების; აღალარს აღსამწერლო არ ეთხოვების და არც მისს გაწაყარს ძმასა და სახლის-კაცსა.

რნჱ. სამშვილდე კოწანისს კერგეშების მზარეულებისა და ფარეშებისათჳს.

სომხითის მთის სოფლები რომ ახლა ბატონს უჭირავს, ჯუროჭრი დამბლუტი და ანდიკა, ანდიკას აქუს ღალა ქქვსზედ ერთი გუთანზედ

ორი დღე ხჳნა, მკა; გალეწჳა, საბალახე, ნახირის-თავი, ვირის-თავი, მალი, თავზედ ორი აბასი: ამისგან ექვსი შაური ბატონს, ორი შაური მოხელეთ. სამობაო ორი ცხვარი, ექჳსი ქათამი, ფურზედ ერთი ჩარექი ერბო, საკიზი თხა ერთი. ბოლნისის ზჳარში ერთის ჭკრის მუშაობა, ასი კონა სარი; სააღდგომო სამი ბატკანი, ერთი ღორი მკაში დაკლან და მათვე შეჭამონ; საქჳრიო კარი.

დამბლუტს და ჯურორს ხჳნას გარდა ყოვლიფერი ასრე აქვს ამ სოფლების მოურავებისა.

რნთ. სალთხუცის სარგოსათჳს.

ყოველს წელიწადს ზარაფხანიდამ გარდაკჳეთით, ბევრი მოვა თუ ცოტა, თუმანი ოცდა ხუთი; ჩელიექიდამ თუმანი სამი, ტყვის ბაჟიდამ თერთმეტის თავის ნახევარი, როგორც იჯარა იქნების. *) აგრევე ყაფნიდამ, აგრევე არაყხანიდამ, აგრევე კარის აბანოს იჯარიდამ, აგრევე თამბაქოს იჯარიდამ; ყასაბხანიდამ, ელის ეთაზის თერთმეტის თავის მეოთხედის-ნახევარი, აგრევე ქოდავიდამ ქალაქის მალზედ თავზედ ნახევარ შაური; ყაიყულის მალზედ თავზედ ნახევარ-შაური. აგრევე ბოლნისის მალზედ, აგრევე შულავრის და თეთრ-სოფლისაზედ, აგრევე ტაშირზედ, აგრევე ჯურორს, ანდიკასა და დამბლუტზედ, აგრევე გორისაზედ თავზედ ორი შაური.

დიღმის მალზედ თავზედ სამ-ფულ-ნახევარი; კოდის-პურებისა ყველგან თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე საბალახეებისა, აგრევე ვირის-თავებიდამ, აგრევე ნახირის თავებიდამ, აგრევე ზჳრების კულუხისა, აგრევე სახასო პურებიდამ და ღალისა

---

*) ეს ადგილი დედანში ცარიელი იყო; სხვა ნაწერში ასეა: თ უ მ ა ნ ი მ ო ვ ა. გამომცემ.

სადიასახლისოს ქრბოს გარდა. რაც საბატონოს ქრბოს მოსავლისა, თერთმეტის თავის ნახევარი; ოდენ ახჩის თერთმეტის-თავის ნახევარი; აგრევე სამასპინძლოებისა და საადგომო-საშობაოსი; ტყის-თუს—მეთერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი; აგრევე ილღუჯის საყორულოს ბრინჯისა; ამისი წესი არის: თუ რუებს სახადარი ადგია, იმისის მოსავლის თერთმეტის თავის მეოთხედის ნახევარი არის, და თუ კასადარი არა ადგს და იჯარით ან შმინათად მიბარებული არის, იმისი თერთმეტის თავის ნახევარი არის; აგრევე აბრეშუმისა, ბანბისა თუ რასაც ფერისა რუებზედ მოსავლისა, ფუშთუქუნის ბარხანისა წილი აქვს.

რჲ. სომხითის ტარუღისათვის.

(აქ დედანში ცარიელი ადგილია.)

რჲა. სომხითის მელიქისათვის.

საწნეხელზედ ტკბილი ჩაფი ოთხი; გუთანზედ პური კაბიწი ერთი; თავზედ ნახევარ მაური.

რჲბ. საფერისცვალებოს თქვზისათვის.

უნდა წავიდნენ დარუბნელნი, კომარქელნი, ეგრისელნი, ზაულის-ტანელნი, თოფრა-ყალელნი, ხხალ-ნარელნი, ურცევნელნი, აკურელნი, რევაშნელნი, ცხარელნი, ნიაწრელნი, საწელნი, მაჩქათელნი, იფნობელნი, საკაცელნი, ქციელნი, შესაწუავად გაეყოლიონ.

რჲგ. სასახლეების რიგისათვის.

როდესაც ინებოს მეფემან, ანუ მფლობელმან სამეფოსა ტახტისამან შემზადოს სერი დიდი და დაიდვას ნადიმი, ბრძანოს ქორსა და მცერსა ზედა დავება ტაბლისა და მეჯლისისა ესრეთ: როდესაც ბატონი დიდს სახლში დაბრძანდეს, ისე სახლი რუს აწეულთ

და სულ მოფენილი რომ იყოს. ბატონი რომ ტახტზედ ბრძანდებოდეს იმის პირ-დაპირ წინ რომ ბოძი არის, ეშიკაღასბაში იმ ბოძთან ერთი იქით და ერთი აქეთ იმ ბოძთან დადგებოდნენ; იმ ბოძიდამ ორს ბოძს ქვევით რანიც გელ-ჯოხიანები, ან სოიბათ იასაულები იყვნენ, იქ ნახევარი იქით, და ნახევარი აქეთ რიგზედ დადგებოდნენ. დარბაისელნი რომ შემობრძანდებოდნენ, დიდროანს კაცებს აქათმან ეშიკაღასბაშმან აქეთ უჩვენოს ალაგი, და იქითმან იქით უჩვენოს თავისი ალაგი როგორც შეეფერებოდეს. მერმე სხვა დარბაისელნი რომ მოვიდნენ, ბოქაულთუხუცესმან იქითმან იქით მისრული დააწყობინოს და აქათმა აქათი მოსული დააწყობინოს. ბატონს უკან ყორჩიბაში და ყულარაღასი ზეზედ დადგებოდნენ, ბატონის ბრძანებამდის ნუ დასხდებიან, ყული და ყორჩი რიგზედ დააყენონ, ყორაიასაულიც იქ დააყენონ და იმათი დგომა გაარიგონ. სუფრა რომ ითხოვონ, აბდარბაშმან ბატონის ტაშტ წურწუმა მოიტანოს. სხვა რვა აბდარი შემოჰყვიდეს მისის ტაშტ წურწუმებითა; ოთხმან იქით ჩაურიგოს და ოთხმან აქათ. ბატონის სუფრა ფარეშხანის ტარულას ეჭიროს; ორი ფარეშთუხუცესი მიჰყვეს, სუფრაჯმან გაშალოს, აქეთ-იქით ფარეშთუხუცესმა ბატონის სუფრის წვერი გაშალონ. ყაბები შემოიტანონ. ჯერ მეგოდრეთუხუცესმან ოთხმან იქით აქეთ პური ჩაურიგონ, მეგოდრეც იშველიონ. მერმე მეშარბათემ ოთხმა იქით და ოთხმა აქეთ თავის კონჩა ჩაურიგონ. ოთხი თუშმალი შემოვიდეს და სუფრა-ქეში ყველა შემოვიდეს; საჭმელი დაასხან, აქეთმან სოიბათ იასაულმან აქეთ მიართმევინოს, და იქითმან იქით მიართმევინოს. ბატონის სამეღვინოს მეღვინეთუხუცესი მოუმღვეს. შიგამდეგს სურა და თასი ეჭიროს, ზარანდაზი გაშალოს; პირის მეღვინემ ღვინო მიართვას. მეღვინეთუხუცესი და შიგამდეგიც იდგნენ. სხვა ცხრა მეღვინე შემოვიდეს, ოთხმა იქით მიართვას და

ოთხმა აქეთ; ერთმან პირ-დაპირ მიართვას. პირველზედ უკვე და ჩაი მისმან მოკელეებმან მისს დროს მოიტანონ ცალკე აქეთ-იქით ჩაურიგონ, ბატონის ყალიონი რიგისად სუფიუელიმ და სააკაძემ მოიტანონ თჳთო და თჳთო პირ-დაპირ, ნუ მოსცდებიან. სხუა ორი ყალიონ უორჩი ერთი იქით და ერთი აქეთ იმსახურებოდნენ, ვისიც საპატიოს კაცის შვილის ყალიონი იქნებოდეს, შემოუტანდნენ. თუ რუსი ჩამოშვებული იყოს და ან იქით აივანში და ან აქეთ, შუა სახლში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკაღასი დადგეს და ორი ბოქოულთუხუცესი აქეთ და იქით, ამ წესით გაარიგონ: ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთუხუცესი, ოთხი თუშმალი, ექუსი სუფრაქეში, ოთხი მეგოდრეთხუცესი, ოთხი მეშარბათე, ექვსი აბდარი, ერთი მეღვინეთხუცესი, ერთი პირის-მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი მეღვინე. ესენი იმავ ზემოთის წესით იმსახურებოდენ; სალთხუცესი და ნაზირი გაარიგებდენ და დადგებოდენ; ერთი მდივანიც იმათთან იქმნებოდეს.

როდესაც დიდის სახლის მეჯლისი ბრძანოს, რომ ერთ-პირმოფენილი იყოს და რუსები აწყული ჰქონდეს; იმ სახლისათვის უნდა გაკეთდებოდეს ბრინჯი ყაბი სამოცი; ამისგან ხუთი ყაბი, ბატონის წინ დაიდგმოდეს, და ორმოცდათხუთმეტი ყაბი, სხუა ყაბი იქნებოდეს. მაგრამ თუ დარბაისელნი ივნითონ, რომ არ იქნებოდეს და არ აივსებოდეს, ორმოცდაათი ყაბი გააკეთონ ამავ სახლისათვის ძროხა შვიდი მისის ხმიდა და ბორნითა; თუ სამს ბრძანებს, მოხამაჯი სხუა იქნება.—რუს ჩამოშვებული რომ იყოს, იქით დაბძანდეს თუ აქეთ, ერთი ეშიკაღასბაში, ორი ბოქოულთუხუცესი, ოთხი სოიბათ იასაული აქეთ და იქით, ერთი სუფრაჯი, ორი ფარეშთუხუცესი, ოთხი თუშმალი, ექვსი სუფრაქეში, ოთხი მეგოდრეთხუცესი, ოთხი მეშარბათე, ექვსი აბდარი, ერთი მეღვინეთხუცესი, ერთი პი-

რის-მეღვინე, ერთი შიგამდგები, ქვესი მეღვინე,—ესენი იმსახურე-ბოდნენ: სალთხუცესი და ნაზირი დაადგენდნენ.

თუ ისევ სახლი რუს ჩამოშვებული იყოს, ან იქით და ან აქეთ ბრძანოს მეჯლისი, ან იქით აივანში, იმ სახლისათვის გააკეთონ ბრინჯი ყაბი ოცდაათი, სამი ყაბი ბატონის წინ დასადგმელი, და ოცდაშვიდი ყაბა სხუა ფლავი გააკეთონ. ამ სახლში რომელშიაც ბრძანდებოდეს, ძროხა სამი მისის აშითა და ბორნითა. თუ სმას ბრძა-ნებს, მოსამასტი სხუა იქნება.

რჲდ. სალაროს მუშრიბის სარგოსათჳს.

სალაროს მუშრიბისა ჯამაგირი თუმანი ოთხი; დანიმზედ შა-ური ერთი; დუშალიგის მერვედი, რაც ჯამაგირი გავა თუმანზედ ორ-ფულ-ნახევარი; ჭლუფა დღეში პური ოთხი; ღვინო ლიტრა ერ-თი; ქერი ლიტრა ორი; თვეში ცხუარი ერთი.

რჲე. სალაროს თავლიდრის სარგოსათჳს.

ოთხი თუმანი ჯამაგირი, დუშალიგის მერვედი; ჯამაგირის რუსუმი თუმანზედ ორ-ფულ-ნახევარი.

რჲვ. სამეფოს კაცისა სადედოფლოდ არ მუშაობისათჳს.

სამეფო კაცს სადედოფლოდ ვერ ამუშავებენ, და მეფეს თუ ეპრიანება, სადედოფლოს კაცს რუზედ სასახლეზედ და გაჭირვებულს მუშაობაზედ ამუშავებს. მაგრამ სამკალად და სალეწავად კი არა აქუს გული სადედოფლოს კაცთან. კოდორზედ ყარაულობისა და ოქ-რომჭედლისათვის ნახშირს ჰსთხოვენ სამეფოდ სადედოფლოს კაცს.

რჲზ. ტოგუნის რიგისათჳს.

თუ ბატონმა ან ტოგუნში, ან მეიდნის ჯივანში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკაღასი, ოთხი ბოქოულთუხუცესი, ორი სოიბათ იასაული აქეთ და იქით დადგებოდნენ. ერთი ამდარბაში, ხუთი აბდარი, ორი სუფრაჯი, ორი ფარეშთუხუცესი, ორი თუშმალი, ექვსი სუფრა-ქეში, ოთხი მეგოდრეთუხუცესი, ოთხი მეშარბათე, ერთი მეღვინეთუხუცესი, ერთი ძირის მეღვინე, ერთი შიგამდეგი, ექვსი სხჳა მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონ-ყორჩი, ორი სხჳა ყალიონ-ყორჩი—ესენი იმავ ზემორეს წერილის წესით იმსახურებოდენ.

თუ ბატონმა ტოგუნში მეჯლისი ბრძანოს, უნდა გაკეთდეს ფლავი ყაბი ორმოცი; ამისგან ხუთი ბატონის წინ დასადგმელი, და ოცდა თუთხმეტი ყაბი საჯაროდ, მისის აშითა და ბორნითა; ძროხა ორი.

რჲტ. ტყავისათჳს.

შაბათს რამდონიც ზროხა დაიკლას, ტყავები ყოველივე ხაზაზებს. გჳრას რაც ძროხა დაიკლას, ტყავები თუშმლებს. აღდგომიდამ ამაღლებამდინ, ბატკნის ტყავი *). ამას გარდა, რაც ძროხის ტყავი იქნებოდეს ან ცხჳრისა, ან თხისა, იმისის დუმით და ქონით; ლეშის ტყავიც და ქონიც ზედ აძეს. იჯარად აიღების, ხან ოცს თუმნად, ხან ნაკლებად; სხჳა ან რაც ლეშის ტყავი მოვიდოდეს სამეხრეოსი, ან ცხჳრის ლეშისა მოვიდოდეს, იმასაც იმ იჯარაზედ დაუდებდენ; მუშრიბებს კელი არა აქვსთ.

---

*) აქ დედანში ცარიელი ალაგი არის. სხვას ნაწერშია: ბატკნის ტყავი თუშმლებისა და მზარეულებისა არის. გამომც.

რჲთ. ტივის ბაჟისათჳს.

სალბაჟშს ქასხიან, რაც ტივი მოვა, ერთს უკეთესს ჴელს საბატონოდ აიღებენ; ამისი თუთრი დაღგების ოცდა ორი მინალთუნი, კან მეტ-ნაკლები. ამისი რუსუმიც აგრევე აიღების.

რო. ტყვის ბაჟისათჳს.

ქალაქისა, გორისა, ალისა თუ კინა სხუაგან ყუელას მებაჟე ერთი იქნების. ცალ-ცალკე ყერავისი დადგება ჴელმწიფის იჯარადარის-მეტი. ქართველმან, თათარმან, სომეხმან თუ რამაც სჯულმან იმერეთს რომ ტყვე იყიდოს, ტყვის თავს მსყიდველს სამს მინალთუნს საბატონოდ გამოართმევდენ. თუ ქართლში გარდმოიყვანეს და აქ გაისყიდა, ან აქაური ერთმანერთს მიჰყიდეს, სამ მინალთუნს მსყიდველი და სამს მინალთუნს გამსყიდველი ბატონს ვერ დააკლებს; ზეითაც დაგვიწერია. და მთაზედ ტყვის გამსყიდველ-მსყიდველთან კელი არა აქვს ტყვის მებაჟესთან.

როა. ტუთხუჩისათჳს.

პირველზედ გამორჩეული ცხუარი გ, თოხლი ბ, ტუთხუჩისა პირზედ ჩეფიჩი ა; ამისი ათის თავი სამი წილი ტუთხუჩის არის, მეოთხედი სალთხუცისა და მდივნებისა.

რობ. ტაშირზედ აირდარბეგის კერძის რიგისათჳს.

ამათ აქუს: ბატონის ღალა შვიდისაგან ერთი, საბატონოდ უნდა კნან გუთანზედ დღე გ, მკა, გალეწუა, ჩამოტანა, ბაშქალი აბაზი ორი, მოკელეებს შაური ორი, ფურზედ ერბო სტილი ვ; სამო-

ბარ-სააღდგომო ზროხა ოთხი, ცხვარი ცხრა, ერბო ლიტრა თერთ-მეტი, საქვრიო კვერი, (იავ) კოდი იქიური თორმეტიანი არის, (იკვა) საფატონო იაჲ.

როვ. ტაშირის მოურავისათვის.

ტაშირის მოურავისა ფურზედ ერბო სტილი ბ: თავის-გასამ-ტეხლო კვერი, გასამყრელო კარგს გლეხზედ ზროხა, დაბალზედ ცხვარი, კომლზედ, პური და ქერი კოდი გ; ნაცვალს კომლზედ კოდი ერთი; ბატონის მოსავლის ათის-თავისა მოკელეებისა არის, მალის ორის მაურიდამ. — ტაშირის მალისა ათი მაური თავზედ აი-დება: ორი აბაზი ბატონისა არის, ორის მაურისაგან ნახევარ-მაუ-რი სალთხუცისა და მდივნებისა, და მაურ-ნახევარი მოურავს და მემალეს.

ტაშირის კასადრისა კომლზედ პური კოდი ნახევარი, ქე-რი კოდი ა; ბატონის თერთმეტის-თავსა რაც დადგეს, ოთხისაგან ერთი სალთხუცესსა და მდივნებსა, სამი მოურავმან და კასადარმან გაიყონ.

როდ. ურბნისის რუს გამომღებთათვის.

ურბნისის რუ საქაშეთიდამ მიწდელთ გამოიღონ, იქიდამ სა-ქაშნელთ და თვალად-უბნელთ. მირმაჯნის საყდრამდინ, იმას იქით ვარიანელთ, სასირელთ და არამენდელთ რუისის თავამდინ გიმოი-ღონ; იმას აქეთ გორის გზა რომ მლაშის-წყალს შეეყრების იქამ-დინ; იმას აქეთ ურბნელთ უნდა გიმოიღონ.

როე. ყმისა და მოხარშულის ზროხისათვის.

მროხა რამდენიც დაიკლას, თავ-ფეხი მეჯინიბეთისა, კისერი მეკვო-რისა, მკერდი თუშმლისა, საპარავი მზარეულებისა, თირკმელი აუშ-ტრისა, გულ-ღვიძლი საკლავის მეცხვარისა.

როვ. მოხარშულისათჳს.

მოხარშულის მროხიდამ ერთი საკაჭკაჭე სუფრაჲს; ერთი ნაჭერი დავთარხანაში, თითო ნაჭერი თუშმლებს, ერთი ნაჭერი მროხისა მზარეულს, ერთი კანჭი იასაულებს, თითო კანჭი ქჳაბის ამწევს მუშას.

როზ. ფუტკრის რიგისათჳს.

აბულა შვილისათჳს რამდენი სხვა თაფლად აწერია და მიკვი-ბარებია, იმდენი სკაზედ ჩარექ ნახევარი სანთელი ჩვენს ქარხანაში მოაბაროს, და სხჳა ნაყარი თაფლი, ზიანი და სარგებელი მისი არის. ჩვენი თავის ფუტკარი კი ნუ მოიშლების.

როჱ. ფეშქაშის მოკელეთათჳს.

ფეშქაშის ქარხანა; ფეშქაშნივისი ქაიხოსრო; ფეშქაშის თავლე-დარი ლორელი ფარსადანა.

როთ. ფეშქაშნივისისათჳს.

რაც ფეშქაში მოვა, ის დასწეროს, რაც სარხათი ჰქონდეს. ის ჯამაგირი, ულუფა დღეში ერთი ლიტრა ღვინო, ექვსი შაური, ერთი ფისოსი ქონი, ერთი ფარჩა, კორცი ერთი ლიტრა, ქერი რასაც ქარხნის ხარჯს დასწერდეს იმის განაცემის დუშალიკისა; რაც თავლიდარს ერგების, იმის მონახევრეა.

რპ. ქსნის ერისთჳს მამულისათჳს.

ქსნის ერისთჳს ყმა გამომღები და თარხანი რმჱ; ამისი თარხანი ნდ, გამომღები ჟდ; ქათმით სხჳა გამომღები, საბალახუ

თუ რაც ფერი როგორც ზემო ქართლსა სძეს, ისრე იმას.

სამილახოროს და საერისთოს კოდის-პურის გამომღების კომლის ჯუმალი სჟვ; ამისგან ქალაქს უნდა ჩამოიტანონ საკომლო რნა; გორს უნდა მოიტანონ საკომლო პე; კიდევ გორს უნდა მიიტანონ გორის ზჳრის სარი, საკომლო ნი; საკომლოზედ სარი კონა.

ქსნის-პეველთ აქუსთ ულუფა, როდესაც ბატონი სალაშქროდ წაბრძანდება კჳრაში კარი ა; ცხჳარი ბ; მარილი ლიტრა ა; ღვინო საპალნე ბ; ფქვილი საპალნე ბ.

ასრევე არაგვის ერისთვის კაცებსა აქჳსთ.

აგრეთვე ავალის შვილის კაცებს სადგრელებს აქჳსთ.

რპა. ქალაქის მალის გარიგებისათჳს.

მალი პირველზედ ახალს მალის გამომღებს რომ დავთარში ჩააგდებენ, იმის ნახევარს მალს გამოართმევენ, რომ სამი აბასი იქნების, და მთელი მალი თავზედ ექვსი აბასი არის. ამ ექვსის აბაზისაგან ხუთი აბასი სახელმწიფო არის, და ის ერთი აბასი ასრე გაიყოფა: შაურ-ნახევარი მელიქისა არის, შაურ-ნახევარი მამასახლისისა, ნახევარ შაური სალთხუცისა, ნახევარ შაური მდივნებისა. ამ მელიქ-მამასახლისის კერძთან თორმეტი მინალთუნი გარდაკვეთით ვეზირს აქჳს. რომელიც მალის გამომღები კაცი დაბერდების, ასრე რომ მოგება აღარ შეეძლოს, იმისთანას მალი აღარ ეთხოვების.

რპბ. ქალაქის სატყველოს ხარჯისათჳს.

ქალაქს საური და ტყვის ხარჯი არა ჰსძეს. მაგრამ რამდენსაც ბედნიერის კელმწიფის ფეშქაშს გაისტუმრებენ, ვინც ქალაქში სახლობან, ასი თუმანი ბატონს უნდა შემოაწიონ.

რპგ. ქალაქის აღწერისათჳს.

მჯდს წელიწადში ერთხელ მოსდების, კომლზედ ორი შაური ჯსამწერლო ჯრის. ვისაც ბატონი უბრძანებს და დააწერინებს, ეს ორი შაური იმისი არის, სხუა მოხელეს ამაში კელი არა აქუს.

რპდ. ქოდავის რიგისათჳს.

სამს წელიწადში ერთხელ ჩობანბეგი უნდა წავიდეს და დათვალოს, გალადარს რაც ცხუარი ჰყუანდეს, ან ვისაც ერიოს, ცალცალკე დაწეროს, ვისიც ერიოს სჳკლდობ ანუსხევდენ. თუ ვინიცის გალადარი წავიდეს სადმე და იმისი ცხუარი დარჩეს, მუთაჯირი იმის ქოდავს ნუ დაგვიკარგავს და აიღებდეს. და თუ იმ გალადრის ნარევი ცხუარის პატრონი და ცხუარი წავიდეს სადმე, იმას არ ვიყაბულებთ, რომ ქოდავს გალადარს უკლებლად გამოართმევდენ.

დასამთვლელო სამს წელიწადში ასზედ რვას შაურს ჩობანბეგი უნდა აიღებდეს. ამას გარდაისად ქჩაბაში ეძახიან — ექუსს შაურს ყოველს წელიწადს პირეულზედ ჩობანბეგს უნდა მოსცემდენ; და პირზედ ყოველს წელიწადს ორს შაურს მუთაჯირს მოსცემდენ. საბატონო ქოდავი აიღების ცხუარზედ ერთი შაური; ამისი ათისთავი რაც დადგების, სამი წილი ჩობანბეგისა არის და მეოთხედი სალთხუცისა და მდივნებისა; ნახევარი სალთხუცისა არის და ნახევარი მდივნებისა. ეს ბატონის ქოდავი სამ დავაასთად იქნებოდეს: ერთი წილი ამ თავიდამ გამოიღონ, ერთი წილი მთაზედ რომ ავიდნენ, და ერთი წილი მთიდამ რომ ჩამოვიდნენ. აქედამ ბატონის თეთრიდამ ვეზირს აქუს ყოველს წელიწადს თორმეტი თუმანი.

რპე. ქჳთ-კირის ლილოს დებულებისათჳს.

ჰამქს საბატონო: ერთის სამკჴრეოს შენახუა, მისი კჳნა, თეს-ვა, მომკა, მოტანა, გალეწვა გუთანზედ ორი დღე კჳნა, მისის ნაკუ-ნავის შემუშავება, ღალა დღიურზედ კოდი ა; მართებული საბალა-ხე; პირის-თავი, ნაჴირის-თავი, საშობაო ცხუარი ა; ერბო ლიტრა ა; ქათამი აგრეთვე სააღდგომო აქუსთ, საქურიო კარი; ქჳთკირის ლი-ლოს მოუჴრავს რამდენიც გუთანი არის, ერთს დღეს უხნან, უთესონ, მოუმკონ, მოუტანონ, გაულეწონ; კომლზედ ერთი კოდი პური და ქერი, თავის-გასამტეხლო, გასამყრელო ქჳთკირის ლილოს მამა-სახლისისა, ქჳთკირის ლილოს ნაცუალისა.

რპვ. ხომკრთის რომელსაც ალაგს არის ქორის ბუდისათჳს.

ქორის ბუდე არის სომკითს	ატუცის ბუდე.	თრთამუის ბუდე.
ჯონჯოლის ბუდე.	სოსნის ბუდე.	ნადვალეთის ბუდე.
ფეთსინის ბუდე ანდიკა.	ჩორათანის ბუდე.	ხინძოვარის ბუდე.
ჯიმშერის ბუდე.	ვარახორის ბუდე.	სუჯაბეგს ბუდე.
ფიფიჩანის ბუდე.	საბის ბუდე.	
	დედცუტნის ბუდე.	

რპზ. ღვინის მოსავლის რიგისათჳს.

ღვინის მოსავლისა ასრე იქნებოდეს: სოფელზედ რასაც ჩვენს საკასოს დასტულის, მოსავლის ალაგს ჩვენი მესთულე წავიდოდეს, იმ სახასოებში ყოველგან ჩვენნი მოკელენი ასეთს მემარნეს დააყე-ნებდენ წლითი წლად რიგით, რომე ქეთხუდა და ღვინის შენახვის მცოდნე იქმნებოდეს: ჯერ ზურისას დასწურევდნენ და კოყორზედ

გამოგზავნიდნენ; მერმე მესთჳლე და მემარნე ამას იქმოდნენ, რაც იმ სოფელში ან კულუხი ან თარხნის სათხოვარი, თუ სხჳა შენაწე-რი ღვინო რაც სოფელს შეყარდეს, თოჯი რომ ქნან, სადაც კარ-გი ვენახი იყოს და კარგი ღვინო გჳარობდეს, რომ ჩვენმან მემარ-ნემ არჩიოს და მოინდომოს, ის ჩვენთჳს დაწურონ და ჩვენთვის წაიღონ. თუ რამ მოკლდეს და ან სასოფლო ტკბილის კარჯი შეყარდნილიყოს, მერმე იმათ მისცემდენ. ჩვენი მემარნე ქვევრს კარგად გაარეცხინებდეს, შეაფერვინებდეს. რა ხან ჩვენს ქარხანაში ითხოვონ, მეღვინეს მემარნე მოაბარებდეს; ნახოს თუ ან წყალ-ნარევი, ან ქვევრის გემოვანი, ან უკელობით წა-მხდარი იყოს, ის ღვინო გამოართჳან და ერთი იმთონი მემარნეს სხვა წაართვან თავისი. მესთჳლემ თუ მოხელემ ეს ჩვენი ბრძანება მემარნეს არ გაუგონა, მაშინვე მოგვახსენოს, თუ მეღვინემ წახდი-ნოს, იმან ზღოს; თუ მემარნეს წაეხდინოს, იმან ზღოს.

რპტ. მეფის დამარცხებისა და მცხეთას წასვენებისათჳს

მეფეს რომ დაუმარცხდეს რამე, მცხეთას დამარხონ. ქალაქიდამ რომ წაასვენონ, სომკით საბარათიანოს სარდარმან უწინ იმათ უნდა ასწიონ საკაცესა, დიღმის წყლამდის იმათ უნდა წაასვენონ. დიღმის წყალს იქით, დევის ნამუხლამდინ ამილახორმან და მისმან სასარდ-ლომ უნდა წაასვენონ. დევის ნამუხლს იქით ხიდამდინ ბატონის დროშის კაცმან. კიდს იქით საყდრამდის მუხრანის-ბატონმა, არაგ-ვის ერისთავმა და ქსნის ერისთავმა და მისმან სასარდლომ. რასაც ალაგს მიიყვანონ, გზა ულუფით უნდა გაზომონ: ისე ამ გზებით უნდა წაასვენონ. სარდლებმან თავისს სასარდლოს კაცებს ზარი უნდა ათქმევინოს, საკაცეს რომ სხჳა და სხჳა კაცი გამოეცჳალოს,

ჭირის-უფალთან მოვიდნენ და ზარი ჰსთქვან; და მერმე ცამეტი მეორე სარდარს რომ კაცი გამოეცხადოს, კიდევ ჭირის-უფალთან მოვიდნენ, ზარი ჰსთქვან და იმათ დაისვენონ.

რჱთ. ყორიასაულისათჳს.

ყორიასაულა: საგინასშვილი შქეან, კიდევ საგინასშვილი ბექან. სააკაძე მერაბ. გლურჯიძე ტარიელ.

რი. ყაფიჩიბაშისათჳს.

ყაფიჩიბაში თურქისტან.	ჭიქოს მჭედლის-შვილი დათუნა.	ყორღანას-შვილი შერმაზან.
თუმანის-შვილი ფირან.	ყაფიჩი გილაქი პაპუნა.	ბაგრატა.
თუმანის-შვილი ავთანდილ.	გლურჯიძე ზაალ.	მირიახას-შვილი ფარსადან.
შაველას-შვილი ალავერდა.	თურქისტანის შვილი ბექან.	გლურჯიძე მანუჩარ.
შანაზარას-შვილი გიორგი.	თოლას-შვილი იასე.	დალალას-შვილი იენუქა.
		ზავარა-შვილი ბასუტა.

რია. ყორჩიბაშისათჳს.

ამილახორის შვილი ბარძიმ.	საგინას-შვილი სამის შვილი.	გიორგი ყორჩის შვილი ბექან.
საგინას-შვილი ფარემუზის შვილი.	გლურჯიძე შალვას შვილი.	გლურჯიძე გლურჯიძის ძმისწული.
სააკაძე იორამის-შვილი.	იესე ყარაბუდახის შვილი.	ვარდა ოღლი უსუფა.
საგინას-შვილი გორჯასპის შვილი.	საგინას-შვილი ქაიხოსროს შვილი.	ელის უზბაშის ძმა.
ყორჩიბეგაშვილი ბარათა.	სააკაძე ზურაბ.	ხალიფოღლი აბდულა.
	რევის-შვილი გიორგი.	ჯავანშირი დარჩული.

რყბ. ყალიონ-ყორჩებისათჳს.

ყალიონ ყორჩების თავ-ლიდარი. გაბრიელა.	ყალიონ ყორჩი: ინდო.	ყალიონ ყორჩი ბიძი-ნა, პეტრე.

რყგ. ყავაჩებისათჳს.

ყავაჩი სეფიყულა,	ყავაჩი დოლაჯ.	ყავაჩი რევაზას-შვილი

რყდ. ყველისათჳს.

რაც ჩვენს აუშხანაში ყველი დაიხარჯებოდეს, და ან საშარბათოში ყველი და მაწონი მოუნდებოდეს, ჩვენის ცხვრის მოსავლიდამ ნაზირმა გაურიგოს და იქიდამ ხარჯონ.

რყე. ყაბების რიგისათჳს.

ბატონის წინ დასადგმელის ყაბისათვის უნდა მიეცემოდეს ერთის ყაბისათვის ბრინჯი ლიტრა ბ; კორცი ლიტრა აo; *) ერბო თუ კალასი იყოს, ლიტრა ბრინჯზედ ჩარექი ა; და თუ კალასი არ-იყოს, ჩარექ ნახევარი. ჩილავისათჳს ყაბისა ბრინჯი ლიტრა ბ; შესაწვავი ქათამი ე; შესტრანგისათჳს კვერცხი კე; კაკვი ჩარექი ა; ერბო ჩარექი აo; შამ-ქაბაბს ერბო ჩარექი ა; ქათმის ყაბს ბრინჯი და ერბო. აგრევე თუ ვარიობა არის, რვა ვარია. თუ ვარიობა არ-იყოს—ქათამი ე. მუთანჯის ყაბს ბრინჯი და ერბო, აგრევე ერბო, აგრევე კორცი ლიტრა აo; ზაფრანა მისხალი ბ; ქიშმიში ნახევარ-ჩარექი, ნუში ნახევარ ჩარექი, თაფლი ნახევარ ჩარექი, ძმარი ერთი ჩარექი, ბატკნის ყაბზედ ბრინჯი და ერბო აგრევე და ერთი მრთელი ბატკანი.

---

*) ნიშანი ესე o არის ნახევარი($1/2$). აქ აი ითქმის: ლიტრა ერთი და ნახევარი.
გამომც.

აშუებს მასალა-როგორც მართებული იყოს, საზიარი შეიტყობდეს და ის-რე გაურიგებდეს. ისხნის ყაზი სავსედ და მართებულად მოვიდოდეს; აგრეთვე ბორანისაც; და მისი აში როგორც მართებული იყოს, საჯერ-გოს ყაზზედ ლიტრა ნახევარი ბრინჯი, კორცი ლიტრა და ერბო აგრეთვე; ყაზზე მარილი ჩარექი ა. მარხვა თუ იყოს, ერთს ყაზზედ ბრინჯი ლიტრა ორი; ნიგოზი ნახევარ-ლიტრა; ქიშმიში ნახევარ ჩარექი; ჩილავს ბრინჯი. აგრეთვე კიზილალა შესაწყავად ნახევარ ჩა-რექი; მოხარშული კიზალალა ყაზზედ ჩარექი სამი. ცერცვი და მუ-ხუდო ფითოს ყაზს ლიტრა აი; შეჭამადად ბადიაზედ ლიტრა აი; ნიგოზი ლიტრაზედ თითო ჩარექი, მარილი ნახევარ ჩარექი, ხახვი ლიტრაზედ ერთი ჩარექი, ერთს ყაზზედ მოკარშული თუ უმი ლ; ერბოს ყაზზედ სათალი წყვილი ე; ერთს ყაზზედ მოხარშული თუ უმი ზურგიელიობ; ბოლო ერთს ყაზზედ გ; მოლოლამასათჳს ერთს ბადიას იანი ლიტრა ერთ ნახევარი; ლავაში ჩარექი ორი.

ამ საჭმლიდამ უნდა დაუსხან თუმმლებს რომლისაგანაც უნ-დოდეს თჳთოს ამალს თჳთო ყაზი; დღესასწაულებში ერთი ბოშყაბი ოსტატს; თასი საყას ერთი თეფში, აუშტარს ერთი თეფში, მეშე-შეს, *) სალთხუცის კაცს ერთი თეფში.

რჟვ. ყავენის რიგისათჳს.

ყავენის რიგი ასრე არის: ფქვილზედ, ქერზედ, ბრინჯზედ, შაბზედ, წაბლზედ, ფეტვზედ—ერთს საპალნეს რომ ასწონენ, საპალნეზედ ბისტს გამოართმევენ; ბამბის ცალზედ ერთს შაურს; ენდროს ცალ-ზედ ნახევარს შაურს. აგრეთვე მატყლზედ, თაფლზედ, ერბოზედ ნახე-ვარ-შაური, საყათის ცალზედ ერთი შაური; ეზანბაშის საპალნეზედ ბისტი; რკინის საპალნეზედ ბისტი; ზეთისხილის საპალნეზედ შა-ური; მროხაზედ შაური; ცხენზედ აბაზი; საკედარზედ ორი შაური, ეს

*) სხვას ნაწერში: მეშეშეს ერთი თეფში.

ყაჭვანი ხან ორმოცს თუმნად და ხან მეტ-ნაკლებად იჯარით აიღების ხოლმე. ამისი რუსუმი ათის-თავი ჭილების; ნახევარი სალთხუცესს არის, და ნახევარი ვეზირისა და მდივნებისა. ვეზირი და მდივნები შუა გაიყოფენ; მერმე ამისს ნახევარს მდივნები გაიყოფდენ.

რყზ. ყასაბხანის იჯარისათჳს.

არის ქონი ლიტრა ხმა თას ხუთასი ლიტრა. ამისი იჯარადარი აიღებს მროხის ტყავზედ ორს შაურს; ცხვარი და თხა რაც დაიკლის, იმისი ტყავიც იჯარადრისა არის, თჳთო შაურად დაბადს მისცემს. ამისი რუსუმი არის ქონი ლიტრა სამას ორმოც-და ათი.

რყჱ. ქალის კაცისაგან ქარაის ჯელგისათჳს.

ქალის-კაცს ჭსმეს დავთარზედ ცხენ კეთილი კაცი, და ქვევით: კაცი ვერ დააკლდების, თავისი აღსაყალი იმისი განაყარი სახლის-კაცნი და ნოქარი.

რყთ. ყარაიის კრწისათჳს.

ყარაიის კონს რაც შევსება მოუნდების, ქალის კაცმან უნდა ქვით შეავსოს; ყარაიის მეყორჩულისა.

ს. ყაიყულს რამდენი სოფელი აშენებულია, ან რამდენი ნასოფლარი, ან რომელი რომლის სამოურაო არის მისთჳს.

მისირას სოფელი სამოურაოდ მზექაბეგს.	წყაროს სოფელი ყალფანის შვილს ლორის.

ხუცის სოფელი ქემალუ ხოჯას.
მარქარას სოფელი დურმიშხანს.
სააკას სოფელი ალიხანას.
ყაზი სოფელი ფირმამადის შვილს.
მანაზარას სოფელი ხარდრის შვილს რამაზს.
ყაზანჩი საგინაშვილს ბესჭაზს.
ფურცხლუ საგინაშვილს ფარემუზის შვილს.
გოლის სოფელი ყაფლანისშვილს ოთარს.
ოქსუზლუც ამავ ოთარს.
ყურუჩაიც ოთარს.
ფანოსას სოფელი ამავ ოთარს.
ქვემო-ორთლუ საგინაშვილს ბეს-ჭაზს.
ზემო ორთლუ ფირ-მამადას.
მელიქბეგას სოფელი მანუჩარას
ფირ-მამადას სოფელი უზბაშს.
თიქმა-ტაში შარაფადინას.
თოფალს სოფელი ფაატასი
აშუღის სოფელი ნურიას.
ბანჯარკუტი ამიროღლი ალიყულასი

დინაროზას სოფელი აბედინას შვილს.
სარქისას სოფელი გოგიბასშვილს.
ბანო სოფელი როსტომს.
დერმლუ სოფელი ხალილას.
მეუკერის სოფელი აზიზასშვილს.
სატახას სოფელი ვეზირს.
ბექქამლი გივ მდივანს.
გიაკოზას სოფელი მანუჩარს.
სელიმას სოფელი მერაბადას.
ტაშქორფი ვეზირის ძმას.
დუგაზას სოფელი მოლა აბდულასშვილს.
ხატის სოფელი ოთარ მდივანს
ჯიგრაშენი დოლენჯისშვილს.
მონათის სოფელი ფარასი.
ყალაჩის სოფელი მამუდას.
აუშენებელი ყაიყულის ნასოფლარი ყორყორა.
ნასოფლარი რძიებისა.
კიდევ იქივ ნასოფლარი ა, ანაჯზოღლისა.
ტბის გარეშემო ნასოფლარი ექვსი.

სა. ყაიყულის სამოურაოსი, მეფის გიორგისაგან გარიგებისათჳს.

ასრე არის განაჩენი, რომელიც აქუს: მოურავისა არის სამი ფოხალი პური, სამი ფოხალი ქერი. კომლის თავს წელიწადში უნდა მოსცენ, რომ იქნების სამი კოდი; საქმე თუ იმავ ალაგის კაცმან ქალი წაიყვანოს ექვსი შაური მოურავს, და ორი შაური ნაცვალსა; და თუ სხვის ალაგის კაცმან წაიყვანოს, სამს აბაზს მოურავს მისცემდეს, და ორს შაურს ნაცვალს; გასამრჯელო კარგს გლეხზედ

მოურავს ერთი ძროხა; მცირეს გლეხზედ ერთი ცხვარი. ნაცვალს ცხვარი, ვისაც ძროხა გამოუვიდოდეს აბაზსა და ვისაც ცხვარი გამოუვიდოდეს, ორს შაურს მისცემდეს. თავისგასამტეხლო ხუთი აბაზი. მოურავს ბჭობის ჩაგდებინებისთვის ოცდა ათი შაური. ვინც ბოზობა ქნას—ხუთი მინალთუნი, ცურზედ ერბო ლიტრა ბ. ქურდობა თუ საქართველოს მამულში შეასწნდეს, შვიდეულად აზღვევინოს მოურავმან და ერთი ორად პატრონს მისცეს, სხუა საბატონოდ მოვიდეს. თუ სხვის ქვეყნის ქურდობა შეასწნდეს, ერთი ორად აზღვევინონ, ერთი პატრონს მისცენ, და ერთი საბატონოდ მოიყვანონ. მოურავმან ძროხაზედ აბაზი გამოართვას საისაულოდ, და რაც საბატონოდ მოვიდეს, ხუთის-თავს იმისგან მოურავი აიღებს. საკდელზედ თითო შეგდებაზედ ერთი ჩარექი ზეთი მოსცენ. მოურავი ორასს ცხვარზედ თითოს შიშლიგს აიყვანდეს; საქმრო ძროხა ბატონისა არის, ცხვარი მოურავისა. ჩვენს სამსახურზედ მოურავს ულაყს ათხოვებდნენ.

სბ. ყულარაღასისა გარიგებისთვის.

ყულარაღასის ჯამაგირი თორმეტი თუმანი; ბატონს თავს დაადგებოდეს; ვინცა ვინ საპატიოს კაცის შვილი ყული იყოს, ბატონს თავს დააყენოს, რიგზედ მართებისად იმსახუროს; იქნება ასეთი ყულიც, რომ დიდს მეჯლისში არ დაიყენებოდეს.

ყორჩიბეგას შვილი ფარათა.	საგინაშვილი.	გლურჯიძე მალხაზის შვილი.
სააკაძე ზურაბ.	კიდევ სააკაძე.	ყარამუღახის შვილი ილიეს შვილი.
რევის შვილი გიორგი,	საგინაშვილი გორჯასპის შვილი.	გლურჯიძე უზბაშის ძმა.
ყორჩიბაშის შვილი ბეჟან.	ალიოღლი ელიაზა.	ხალითოღლი აბდულა.
ჯავანშირი დარგაყული.	ყარალოღლი უსუფა.	
	კიდევ საგინაშვილი.	

სგ. შავარდნის ბაზიერისათჳს.

ბაზიერი ნასიბლუყელი მამას შვილი.	ალიოღლი ყურბანალი.	თირიოღლი აუზიზა.
მურადოღლი მუსა.	ველიოღლი ისმაილა.	ამირველიოღლი ასანა.
ასიჯანოღლი ბაირამა.	მასხუთოღლი ისმაილა.	ველიოღლი აშურა.
ასასოღლი მაჭმად.	მაჭმადოღლი მუსტო-ფა.	ალავერდოღლი მაყ-რდა.
ალისანოღლი სარი-ველი.	შამადოღლი ყუზანა.	ბაირამოღლი ყურბა-ნალა.
	ჭასანოღლი ჭასანა.	

სდ. შათირებისათჳს.

შათირი ასკარა.	კიდევ შათირი იმისი ძმა.	შათირი ხადანგა.
გიორგი.	გურიელი გიორგი.	კავთის ხეველი შათირი.
სურამელი შათირი.	მოქალაქე თამაზა.	გრიგოლ.

სე. შანიშინის დევანხანის რიგისათჳს.

თუ ბატონმა შანიშინის დევანხანაში მეჯლისი ბრძანოს, ერთი ეშიკაღასბაში, ორი ბოქაულთხუცესი, ორი სოიბათ იასაული, ერთი აბდარბაში, ოთხი აბდარი, სამი მეგოდრე, ერთი სუფრაჯი; ორი ფარეშთხუცესი, ოთხი სუფრაჯში, ორი თუშმალი, ერთი მეღვინეთ-უხუცესი, ერთი პირის მეღვინე, ერთი შიგამდგები, ხუთი სხუა მეღვინე, ერთი ბატონის ყალიონყორჩი, ორი სხუა ყალიონ ყორჩი, როგორც ამას ზეით ეწეროს, ისრე იმსახუ-რებოდნენ.—თუ ბატონმა შანიშინის დივანხანაში მეჯლისი ბრძანოს, იმისთჳს უნდა გაკეთდებოდეს ფლავი ყაბი თექვსმეტი; ამისგან სამი ბატონის წინ დასადგმელი, და ცამეტი ყაბი საჯაროთ, მისის აშ-თა და ბორნითა, ქროსა ორი.

სვ. შჳკტის გჳრიყებისათჳს.

შჳკტობა ცხჳრისა, მროხისა და ჯოგისა ყაიყულას შვილის იმანწვერდისათჳს გვიბოძებია. უიმისოდ ანგარიშს ნუ იქმონენ, შე-მოდგომაზედ და გაზაფხულზედ ჩვენის კარის მოჴელეთ ანგარიშს მოსცემდნენ. ყველისა და მატყლისა ოცის-თავი იმისია, ჯოგიდამ ყოველს წელიწადს თჳთო კჳცი.

სზ. შაქრისათჳს.

საშარბათოში ქარხანაში რაც შაქარი, ნუღლი, საჭმლის მასალის იარაღი მოუნდებოდეს, სალაროს ნაზირმა—გილანის გერაქ-იარაღის დააბაროს, თავრიზიდამ დაიბარებდეს, რაც მოგვინდებოდეს.

სჱ. შავარდნის ბუდეებისათჳს,

ნიჩბისის შავარდნის ბუდე, თავით ბოლომდის, ნიჩბელთ შეი-ნახონ; კავთის-კევს შავარდნის ბუდე ქჳათა-კევის წინამძღუარმა შეი-ნახოს და მიაბაროს ვისმე და კაცს დააყენებდეს, და თუ დაიკარგ-ვის, და ან არ იბუდებს, საქჳათაკეო კაცი ყოველს წელიწადს ორს მთავარს შავარდენს იყიდდეს; კლდე-კარის ბუდე იქივ ყავავანებმა, იქ მანგლელის სოფელი არის, იმათ და გუდელთ შეინახონ; წითელ კლდის ბუდე დ ბეგცისის ბუდე ფიცელთა და საყვარელთ შეინახონ; კრკონის ბუდე კრკონელთ შეინახონ; აბუხალოს ბუდე და გილო-კის ბუდე გვემინელთ აბაროს; თრელგის ბუდე თრელგელთა და ერ-თობით კვედურელთ შეინახონ; ნეძვის ბუდე სტანა შვილს აბაროს, იმათ და ნეძველთ შეინახონ; ახალ-დაბის ბუდე სალმანის შვილმა და ახალ-დაბელთ შეინახონ; სატკიურის ბუდე ზემო კუფთის

ბუდე, ღვერცხვის ბუდე, კოშკას ბუდე—ეს ოთხი ბადურის შვილ-მა იოხებმა შეინახოს; ჩავთარანის ბუდე ქაოქლით ოსებმა უნდა შეინახონ; სვერის ბუდე სვერელთ შეინახონ. ეს ბუდეები რომელიც რომლის სოფლისათვის მიგვიბარებია, იმათ ასრე შეინახონ, რომ კარგ გუშაგად თუალი დაიჭირონ, რიგისად კაცს დააყენებდენ. რა-ერთიც ალაგი ამ ოთხის ბუდის გარეშემო გაჩვენოსთ და გითხრასთ, იმდენი ალაგი ყორუღად შეინახეთ. იქ ნურავინ გაივლის, ნურც ხეს მოსჭრიან. სადამდის ჩვენი ბაზიერი არ მოვიდეს, ნურცავინ ბუდეში ჩაეკიდება, ნურც კვერცხს ნახვენ, ნურც ქუდას ნახვენ; შორიდამ თვალი ეჭიროს. რახან ჩვენი ბაზიერი მოვიდეს, იმან ასახვინოს, რაც იყოს, იმან ამოიყვანოს. ვინც უჩვენ-ბაზიეროდ ნახავს და ჩაეკიდების, შვიდეულად გაზღვევინებთ. ეს ბუდე ვისაც აბარია და დავგიწერია, ესენი კარგად გაუფრთხილდნენ და დააყურუღონ, რომ შავარდენმა იბუდოს. თორემ შავარდენი თუ არ იბუდებს, რამდენიც ბუდე არის, ბუდის-თავს ყოველს წელიწადს ამ სოფლებს ოროლს მთავარს შა-ვარდენს ვასყიდვინებთ; იცოდენ, არას გზით არ გაპატიებთ. ასლა რომ შავარდენს ვართმევთ, კლდე-კარიდამ შავარდენს ბ; საჯავახია-ნოდამ ბ; თრელვიდამ ბ; იმერ-ქვევიდამ ბ.

სთ. მულავრისა და თუთრ-სოფლის ბატონისა და მოკელეთ გამოსაღების საკომლოსათვის.

აქეს ბატონის კულუხი—ორი პატრონს, ერთი ბატონს; ღალა ხუთი პატრონს, მეექვსედი ბატონს; მალი მამულიანზედ თავზედ ხუთი აბასი ბატონს, ორი შაური სამოკელო; ბოგანოზედ ათი შაური ბატონისა, ორი შაური სამოხელეო; სამობაო ძღვენი ძროხა ა, ცხუარი ა,*) ღვინო საპალნე ბ, კვერცხი რ; ნახირის თავი კარი; სა-ბალახე ცხურისა და ღორისა პირის-თავი; ზურის მუშაობა; სარის

*) სხვას ნაწერში ცხვარი ია.

მიტანა; კოჭორზედ თავისის ხელაყით სამოცის სამპალოწეწ ტკბილის მიტანა; კოდის-პური, თავქეთის ჭურჭლისით და ღალის ნასკვერის კაჭ-ხანაში ჩამოტანა; ხუთი დღე გლეხისაგან გუთანზედ კუნა, მორწყვა, ფარცხვა, მომკა, გალეწვა, ზიდვა და ჩამოტანა; ფურზედ ერბო, ახალ-ნაშობს ბერწზედ ნასკვარ ხარქე, ისრიმი ლიტრა რძე; ყიზყა-ლის კონის მქვის ჩაყრა; ნაკბადინლეს რუს სათავის გქოქბა: მპალის რუს ქვეშ თუ დასთესონ, პურისა და ქერისა, ფეტვისა, ბამბისა და-ლა ქქსზედ ა ბატონსა; თუ ჩალთუკი დასთესონ, ასრევ ღალა; ბოს-ტანზედ სამი აბაზი; თუ ვინმე მელავრის ბოლოს თათარი დასახ-ლდეს და ზამთარი დაჭყოს თუთონჯაკი კომლზედ სამი აბაზი; თუ ვინმე გარეშე იქ ცხვარი დააყენოს, პირზედ ერთი ცხვარი, ძრო-ხაზედ ... ფული, ლორზედ პირზედ ერთი, მარნის რეცხა; ქათ-მის ბარება, სქქვრით, წელიწადში კომლზედ თითო მამალი საბატო-ნო მოგროვდების,—ამისგან ხუთი აბასი მოურავისა არის; ბატონი რომ აიყაროს, ათი ცხენი უნდა მოიყვანონ, ან მისი ქირა მელა-ვრელთა; ამას გარდა სამი ცხენი თეთრმა-სოფელმა, ან მისი ქირა.

მელავრის მოურავის სარგო: მელავერში რაც გუთანი იყოს, ერთი დღე უხნან, დაუთესონ, მორწყონ, მოუმკონ, მიუტანონ, გალეწონ; საწნახელზედ თითო კოკა ტკბილი; მობის ძღვენი საპალნე ღვინო ა, ძროხა ა, ცხვარი გ, მისი ქათამი, გვერცხი; ასრევე კიდევ აღდ-გომის ძღვენი.

მოურავი რომ მივიდეს, ასრე დახვდებოდენ: ორი ამფა ქონის დღეს, ოთხი ერთს დღეს; ქმქესი ერთს დღეს; რაც მოუნდეს, ისრე ასვან, აჭამონ ცხენით კაცამდის; ასრე იქმოდენ; რამდენჯერ მივიდო-დეს მოურავი რა სან რიგი გათავდეს, თავით ბოლომდის კიდევ ასრე მოირიგონ. მაგრამ მოურავი ნურც ცუდმადათ მალ-მალ მივა, ნურც მქერს ხანს დადგების. თუ არ მივიდეს მოურავი, ამ დებულებას სხვა-

ჭრიდამ ნუ ჰსთხოვს და ნურც წაიღებს; თავის ჴელსამტეხლო ხარი, ძმა რომ ძმას გაეყრება, ხარი; თუ ვინმე ან იქაურმან, ან სხუაგან-ურმან ქალი წაიყვანოს, ქჳსა შაური; წელიწადში ულაყი ლ ათ-სოონ ქალაქამდის, გორამდის, ყარაიამდის, საბარათაშვილომდის; გვამლზედ თითო კვერცხი უჭკო-ყველისაც შინ ჰყჳანდეს, მანჯანიკზედ თითო სტილი აბრეშუმი, თუ მოვიდეს, — თორემ ნუ ჰსთხოვს; წე-ლიწადში კომლზედ თითო შაური რომ მოგროვდებოდის, იმისგან ხუ-თი აბაზი; ერთგულ სამალინე ნესვი თემობით ქალაქს ჩამოუტანონ. რაც ქვრივის საჩივარი დადგებოდის, ხუთის-თავი მალის გამომძიებმან თავზედ თითო შაური; სასთუმლო პური, მოყვრავს და მესთუ-ლეს, პური დღეში რ; ღვინო ჩაფი იბ; ქერი კოდი ბ; ცხუარი სხნილში ა; ქათამი რამდენიც კაცი გამასპინძლდეს იმდენი; მარხუაში თევზი და სამარხო მიიტანონ; საშობაოსა და სააღდგომოს დღესს ქალაქს ჩამოუტანდნენ; თარხანი საწნახელზედ ცალს ტკბილს მოსცემდეს; რასაც აზნაურშვილს ვენახი ჰქონდეს, შეულავერში საწნახელზედ ცალი მისცეს, და აზნაურშვილის ყმამ კოკა ა; საქჳრით ცხუარი არის. —შეულავრის ნაცულისა: საწნახელზედ ორი ჩაფი ტკბილი მოყალნემ უნდა მისცეს და ორი ჩაფი თარ-ხანმა; ვინც გაიყაროს, ხარჯარ ცხუარი; ქორწილის მქმნელმა აბაზი; ვინც უჭკო დაიჭიროს, ერთი კვერცხი უჭკო; აზნაურ-შვილის ვენახი რაც შეულავერში იყოს, ორი ჩაფი ტკბილი, აზნაურ-შვილის ყმამაც ორი ჩაფი ტკბილი მისცეს. —შეულავრის მელიქის სარგო; საწნახელ-ზედ ტკბილი ჩაფი ვ; გუთანზედ პური კაბიწი ა; დავზედ ნახევარ შაური. —მესთუმლისა საწნახელზედ ტკბილი კოკა ა. —შეულავრის მამა-სახლისის სარგო: რაც გუთანი არის თარხანს გარდა, ერთს დღეს უხჳნენ, ერთს დღეს უმკიან, ერთს დღეს უზიდვენ; საწნახელზედ ორი ჩაფი ტკბილი; ქალის წაყვანაზედ აბაზი ა; ვინც გაიყრების

ნახევარ ცხჳარი; ჳინც ჭიას შეინახავს—ერთი კვერცხი ყაჭი.—მამასახლისისა, კასადრისა და ნაცვლისა: კომლზედ ქერი ლიტრა გ; ათეულზედ ღვინო თუნგი ა; რაც ბატონს ერგების, იმაზედ ვისაც შეეძლოს ბურვაკი, ვისაც არ შეეძლოს, ქათამი, ხარშო მისის პურითა.—მემალეს პური თავზედ, ღვინო ლიტრა ი; ქერი თავზედ ლიტრა ე; კომლზედ ქათამი ა; ესეც მემამულისა, მამასახლისისა და ნაცვლისა:—გუთნისა, მკისა, ხვნისა, ზჳრისა მისაცემი ხარჯი ასრე მიეცემის: ნახნავს და მოსავალს დახედოს სალთხუცესმა და ნაზირმა და ისრე მისცეს. შულავრის ზჳრის სამუშაოდ პური კოდი დ; ღვინო სამსახლო კ; მეშა კჳნაში, მკაში, ლეწვაში, პური კოდი მგ.

სი. ჩელიექის ბაჟის რიგისათჳს.

თავრიზის ფარჩაზედ თუმანზედ ათი შაური არის, აქლემით მოვა, ცხენით; კიდევ დავთრიდამ საყათის აქლემის საპალნეზედ ოცდაშვიდი შაური; ცხენის საპალნეზედ თურამეტი შაური; ურდვარის ფარჩისა, აქლემით არის თუ ცხენითა, საპალნეზედ თერთმეტი აბასი. აბრეშუმი თუ აქ მიზანში ასწონეს, ბათმანზედ ერთი აბასი, და თუ საპალნეობით გავა, აქლემის საპალნეზედ ცხრა მინალთუნია. ბამბის საპალნე, აქლემს ჰკიდია თუ ულაყსა, საპალნეზედ ორი აბასი არის; თუ ღარიბი კაცი მოიტანს, ერთი შაური მეშრიბანა არის. ენდროს საპალნეზედ ორი აბასი არის; აქლემისაზედ და ცხენისაზედ ერთი აბასი. ერბო ან თაფლი ეკიდოს, აქლემზედ ორი აბასი და ცხენზედ ერთი აბასი ბაჟი. წინდის საპალნეზე აქლემზედ ათი შაური, ცხენზედ ხუთი შაური; მატყლზე აქლემზედ ორი აბასი, ცხენზედ ერთი აბასი. ბრინჯი, რკინა და ან შაბი რომ ეკიდოს აქლემზედ სამი შაური და ცხენზედ ორი შაური. მარილის საპალნეზედ ერთი შა-

ური, და ამისი ნახევარ შაური მოურავისა არის. ქიშმიშის აქლემის საპალნეზედ ლიტრა ნახევარი; ცხენის საპალნეზედ ერთი ლიტრა; თამბაქოს საპალნეზედ აქლემზედ ლიტრა ნახევარი, ცხენზედ ერთი ლიტ-რა; ზეთის საპალნეზედ ერთი აბასი, და მეშრიბანა ნახევარ-შაური; ორაგულის საპალნეზე ორს მთელს აიღებენ, ერთი ბატონისა არის და ერთი მოურავისა და მელიქ-მამასახლისისა; გლაქნურის საპალ-ნეზე თორმეტი აიღების, რვა ბატონისა არის და ოთხი მოურა-ვისა და მელიქ-მამასახლისისა; ხმელის თევზის ურემზედ თვრამეტი შაური აიღების, ამისი ერთი მარჩილი ბატონისა არის, და ექვსი შაური მოურავისა და მელიქ-მამასახლისისა; ჩვენის მოქალაქის აბრე-შუმისა და ფარჩის საპალნეზედ სამ-სამი აბასი მეშრიბანს აიღებს, რამდენიც საპალნე იქმნების.

მოურავის სარგო: ფარჩის საპალნეზედ სამი აბასი არის, სა-ყათის საპალნეზედ ცხრა შაური; ბაზაზისაზედ ცხენზედ ორი შაური, აქლემისაზედ ცამეტი შაური; ფაფლზედ, ერბოზედ, მატყლზედ, ენდროზედ, წინდაზედ—ამათების აქლემზედ ორი შაური, და ცხენ-ზედ ერთი შაური; რკინაზედ, ბრინჯზედ, შაბზედ—საპალნეზე თითო შაური; ურუმის აბრეშუმის აქლემზედ სამი აბასი, ცხენზედ ექვსი შაური, ამისგან აბაზის თავს ერთი შაური დედოფლის მება-ყისა არის და ორი ბისტი მოურავისა. ჩულაქზედ აქვს, რომე მებაჟემ უნდა აიღოს, მთაზედ ან ყაიყულის მოყვანილი ტყვე ურუ-მიდამ ჩვენმა თათარმა თუ ქართველმა რომ იყიდოს, სამი მინალ-თუნი და ერთი აბასი ტყვის თავს მსყიდველს გამოერთმევის, და თუ ვინ-იცის მთაზედ ჩვენის ქვეყნის თათარი თუ ქართველი აიყვანს და მიჰყიდის ვისმე, ორი თავი ბაჟი უნდა გამოართვან, რომ იქნების ექვსი მინალთუნი და ორი აბასი.

სია. ჩარიცხ ნაზირისათჳს.

ჩარიცხვა ნაზირისა: კურთხევაჲ წელიწადში აჳცე ერთი: პატიკის საკამაჩედუხის ცხვრის, ჭასილის თვის-თავი.

სიბ. ცხჳრის შემოსავლისათჳს რომელ-არს საბადასუ.

ცხჳრის შემოსავლისა ასრე იქნებოდეს: რასაც მკარეზედ მობადახენი გარიგებულნი იყვნენ და მისს დროს წავიდოდენ, ჩვენს ნაზირს მეცხვარეს ჰსთხოვდენ და თან წაიტანდნენ; საბადასუს რომ დაუთვლიდნენ, რაც გვერგებოდეს ცხვარი, თხა, ბატკანი თუ თიკანი, მეცხვარეს დააბარებდენ. მეცხვარემ დადაღოს და იმასვე აბაროს. დალი სალთხუცის კაცს აბაროს. თუ სან მეცხვარემ მოიყვანოს, შესაკლავეს თუ მოაპაროს, მეცხვარეს კარგი ამოვნიოს; თუ შესაკლავეს მოწონებული მიუბაროს და მერმე ან ქარხანაში და შეუდუღეს ავი საკლავი მისცენ, ასრე შესაკლავს უყონ. მობადახე და მოხელენი თავის თავის-თავს მეცხვარიდამ ნუ აიღებენ: იანვარიდამ და თავეზე წესი ერთის მხრიდამ აიღონ. პატრონის საბადასუე გაიღებათ ასეზედ ერთი შეშლიგო ერთი საკლავი აიღონ; საკლავი მობადახისა, სუფრაჯისა, სალთუცხუცისა და მდივნების კაცებისა არის. შეშლიგო მობადახისა და სუფრაჯისა არის. საკლავი ბატონის ცხვრიდამ არც ერთი არ უნდა დაიკლას. საკლავიდამ და შეშლიგოდამ უნდა ჭამონ. მობადახემ მისს თიბათვეს თავისი ანგარიში უნდა მოსცენ, თვარამ მობადახობა დაუგვიდებინება; ვინც უსამართლოდ აიღოს, ჯვარიმაც არის.

სიგ. ციხის ბაღებისათჳს.

ციხის ბაღებისა და სალთაგრის ბაღებისათჳს ორი დღე ქსწე-რია ორშაბათი და ხუთშაბათი, რომ ამ ორს დღეს ამათთვის.

